პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 აგვისტო ოთხშაბათი 2011

№204 (13501) ფასი 1 ლარი

დღეიდან, კლაიპედიდან „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტის ვაჟა სიმონიშვილის რეპორტაჟები ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყანას გამარჯვება სიხარული ენატრება

## ლიტვაშიც და აქაც ჩვენზე იყოს სა-ქა-რთვე-ლო!




## დღეს ლელოში...




ევრობასკეტისადმი მიძღვნილი პოსტერი-კალენდარი

**ერთად** გავიცნოთ მონაწილენი

**ერთად** შევავსოთ ცხრილები

**ერთად** ვუქომაგოთ საქართველოს!

| A ჯგუფი | | | | | | | ქ | სხ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | | | | | | | | |
| თურქეთი | | | | | | | | | |
| ლიტვა | | | | | | | | | |
| ბრიტანეთი | | | | | | | | | |
| პოლონეთი | | | | | | | | | |
| პორტუგალია | | | | | | | | | |



31 აგვ

# ევრობას



**A ჯგუფი, პანევეჟისი**

**31 აგვისტო**
16:15 ესპანეთი-პოლონეთი
18:45 თურქეთი-პორტუგალია
22:00 ლიტვა-ბრიტანეთი

**1 სექტემბერი**
16:15 ესპანეთი-პორტუგალია
18:45 თურქეთი-ბრიტანეთი
22:00 ლიტვა-პოლონეთი

**2 სექტემბერი**
16:15 ესპანეთი-ბრიტანეთი
18:45 პოლონეთი-პორტუგალია
22:00 თურქეთი-ლიტვა

**4 სექტემბერი**
16:15 ბრიტანეთი-პორტუგალია
18:45 თურქეთი-პოლონეთი
22:00 ესპანეთი-ლიტვა

**5 სექტემბერი**
16:15 ბრიტანეთი-პოლონეთი
18:45 ესპანეთი-თურქეთი
22:00 ლიტვა-პორტუგალია

| B ჯგუფი | | | | | | | ქ | სხ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | | | | | | | | | |
| საფრანგეთი | | | | | | | | | |
| გერმანია | | | | | | | | | |
| ისრაელი | | | | | | | | | |
| იტალია | | | | | | | | | |
| ლატვია | | | | | | | | | |



**B ჯგუფი, შიაულიაი**

**31 აგვისტო**
16:15 სერბეთი-იტალია
18:45 საფრანგეთი-ლატვია
22:00 გერმანია-ისრაელი

**1 სექტემბერი**
16:15 სერბეთი-ლატვია
18:45 საფრანგეთი-ისრაელი
22:00 გერმანია-იტალია

**2 სექტემბერი**
16:15 სერბეთი-ისრაელი
18:45 იტალია-ლატვია
22:00 საფრანგეთი-გერმანია

**4 სექტემბერი**
16:15 ისრაელი-ლატვია
18:45 საფრანგეთი-იტალია
22:00 სერბეთი-გერმანია

**5 სექტემბერი**
16:15 ისრაელი-იტალია
18:45 გერმანია-ლატვია
22:00 სერბეთი-საფრანგეთი

| E ჯგუფი | | | | | | | ქ | სხ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A1 | | | | | | | | | |
| A2 | | | | | | | | | |
| A3 | | | | | | | | | |
| B1 | | | | | | | | | |
| B2 | | | | | | | | | |
| B3 | | | | | | | | | |

**E ჯგუფი, ვილნიუსი**

**7 სექტემბერი**
16:30 A1-B3
19:00 A2-B2
22:00 A3-B1

**9 სექტემბერი**
16:30 A1-B2
19:00 A3-B3
22:00 A2-B1

**11 სექტემბერი**
16:30 A1-B1
19:00 A2-B3
22:00 A3-B2

1/4

1: E1 / F4

**14 სექტემბერი**
19:00 E1-F4
22:00 F2-E3

2: F2 / E3

1/2

**16 სექტემბერი**
22:00 1მ-2მ
18:30 3მ-4მ

5: 1 მ / 2 მ

ფი

V - VIII

1 ნ / 2 ნ

**15 სექტემბერი**
16:00 1ნ-2ნ

7 **16 სექტემბერი**
16:30 3ნ-4ნ

5 მ / 6 მ

III

3 ნ / 4 ნ — 8

5 ნ / 6 ნ





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები



# ნაკრებმა ნიადაგი მოსინჯა: კარგია!

## მიხეილ მესხი მაღალი რანგით იწყებს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2 სექტემბერს თბილისში ლატვიელებთან და 6 სექტემბერს ლა ვალეტაში მალტელებთან გასამართი მატჩებისთვის მზადება 29 აგვისტოს დაიწყო.

გუშინ კი, სალამოს, ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა, სადაც ახლახან შეიცვალა ბალახის საფარი. ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" გუნდი სრული შემადგენლობით ორშაბათს, სალამოს შეიკრიბა - ნაკრებს ბოლოს საბერძნეთის "პანიონიოსის" მცველი **დავით კვირკველია** შეუერთდა. პირველ დღეს მან მსუბუქად ივარჯიშა, რადგან ქეცბაიამ ნამგზავრი დაასვენა. გუშინ კი დათო გუნდთან ერთად ჩვეულად დაიტვირთა.

ვარჯიშმა საათზე მეტხანს გასტანა და **თემურ ქეცბაიამ** იგი ორკარათი დაასრულა. მწვრთნელის რჩეულთა სია ასეთია:

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი („ანჟი", რუსეთი), გიორგი ლორია („დინამო", თბილისი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი").**

მცველები: **კახა კალაძე („ჯენოა", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („ქაისერისფორი", თურქეთი), კახა ალადაშვილი („ზესტაფონი"), გურამ კაშია („ვიტესი", ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი", რუსეთი), გია გრიგალავა („ვოლგა", რუსეთი).**

ნახევარმცველები: **დავით თარგამაძე („ოლექსანდრია", უკრაინა), ლევან კობიაშვილი („ჰერტა", გერმანია), ჯაბა კანკავა („კრივბასი", უკრაინა), დავით კვირკველია („პანიონიოსი", საბერძნეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი), ირაკლი მაისურაძე („მეტალურგი", რუსთავი), ალექსანდრე გურული („კარპატი", უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე („არსენალი", უკრაინა), მურთაზ დაუშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე - „ზესტაფონი").**

თავდამსხმელები: **ოთარ მარცვალაძე („კრასნოდარი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე", გერმანია), დავით სირაძე („სპარტაკი" ნალჩიკი, რუსეთი), ვლადიმერ დვალიშვილი („მაქაბი" ჰაიფა, ისრაელი).**

# ყიდვა ადრე ჯობია

ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის შეხვედრა საქართველოსა და ლატვიის ნაკრებებს შორის 2 სექტემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება.

უკვე დაიწყო მატჩის ბილეთების გაყიდვა, რომლებიც 10, 15 და 20 ლარი ღირს.



## მილოცვა

**სახელოვან ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის ოსტატს, თენგიზ ნორაკიძეს ვულოცავთ დაბადებიდან 75 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და სიმხნევეს, წარმატებებს შრომით საქმიანობაში.**

*საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები: ვლადიმერ ბარქაია, ილო დათუნაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ვაჟა ჟვანია, გივი ხოჭოლავა, ილო მჭედლიშვილი*

ინტერვიუ დავით თარგამაძესთან

# ძნელი გზა შანსამდე და ჟინი შანსის შემდეგ: უნდა მოვინდომო!

**უკრაინის "ოლექსანდრიას" შემტევი ნახევარმცველი დავით თარგამაძე თემურ ქეცბაიამ ეროვნულ ნაკრებში მეორედ გამოიძახა. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან პოლონეთთან სადებიუტო შეხვედრაში 21 წლის ფეხბურთელმა ისე აზრიანად და სასარგებლოდ ითამაშა, კითხვაც კი გაჩნდა – სად იყო აქამდე?**

**სწრაფმა და ტექნიკურმა თარგამაძემ ყურადღება მაშინვე მიიქცია, როგორც კი ასაკობრივ ნაკრებებში გამოჩნდა, მაგრამ ტანად სუსტს რომ უყურებდი, გიჩნდებოდა სურვილი, ფიზიკურად მოღონიერებულიყო. ბუნდესლიგურ "ფრაიბურგში" ჩატარებული სეზონი, ისევე, როგორც უკრაინაში თამაში, საამისოდაც წაადგა და ვფიქრობთ, ნაკრებს საინტერესო მოთამაშე შეემატა იმ თაობიდან, რომელმაც მალე თავისი სიტყვა უნდა თქვას.**

**- დიდ ფეხბურთში ეფექტურად გამოჩნდი, მაგრამ მთელი ორი წელი დაიკარგე და როდესაც შენი სახელი ლამის ყველას დაავიწყდა, მაშინ გაგეხსნა "მეორე სუნთქვა". ეტყობა, "ოლექსანდრიაში" ტყუილად არ წასულხარ.**

- ფეხბურთში ყველაფერი ხდება. გერმანიაში პირველი ორი წელი კარგად ამეწყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ამერია, როდესაც მთავარ გუნდში გადამიყვანეს.

**- მიზეზი "ფრაიბურგიდან" ფოლკერ ფინკეს წასვლა იყო?**

- ყველაფერს ფინკეს წასვლას ვერ დავაბრალებ. იყო პირადი მომენტებიც, მამა გარდამეცვალა, თბილისში ჩამოვედი და მოსამზადებელი ეტაპი გამოვტოვე. ცხადია, მომხდარმა ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა და ლამის ორი წელი გამიცდა, ფორმიდან ამოვვარდი და დაკარგულის ასანაზღაურებლად დრო დამჭირდა.

**- და რატომ უკრაინა და არა გერმანია?**

- უთამაშებლობას ისევ უკრაინის პირველი ლიგის კლუბში თამაში მერჩივნა და არც შევმცდარვარ, "ოლექსანდრია" უკვე პრემიერლიგაშია და ხალხმაც უკეთ გამიცნო. თანაც, უკრაინის პრემიერლიგას ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს.

**- რაც მთავარია, იქ თამაშით შეგნიშნეს ეროვნულ ნაკრებში.**

- ამ გუნდში ფორმა აღვიდგინე, სხვაგვარად ნაკრებში ჩემით არ დაინტერესდებოდნენ. საამისოდ მთელი ექვსი თვე დამჭირდა - ორი წლის უთამაშებლობა უბრალო ამბავი არ არის. თავიდან უცხო ფეხბურთთან შეგუებაც გამიჭირდა, მაგრამ ეს უკვე წარსულია, ახლა თავისუფლად ვთამაშობ, გუნდსაც შევეჩვიე და უკრაინულ ფეხბურთსაც.

**- ნაკრებში შენი თამაშიდან უნდა დავასკვნათ, რომ უცხო გარემოსთან ადაპტაცია არ გიჭირს.**

- ეს ბიჭების დამსახურებაა, რომლებმაც კარგად მიმიღეს, უცხოობა არ მაგრძნობინეს და გამამხნევეს – კალაძემ, კობიაშვილმა, აბსოლუტურად ყველამ. ნაკრებში თამაში ისედაც დიდი სტიმულია და ვეცადე, მონდომება არ დამეკლო.

**- იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გადაგხდა, ნაკრებში მიწვევა მოულოდნელი იქნებოდა.**

- ნამდვილად ასე იყო და ამიტომაც მადლობა თემურ ქეცბაიას, რომ გამომიძახა და შანსი მომცა. თუ თამაშის შესაძლებლობა კიდევ მომეცემა, ცხადია, განსაკუთრებულად უნდა მოვინდომო.

**- შენით ლვოვის "კარპატი" დაინტერესდა, მაგრამ "ოლექსანდრიამ" 2 მილიონი დოლარი მოითხოვა.**



- მოლაპარაკება მიმდინარეობს და ვნახოთ, როგორ დასრულდება. თუმცა "ოლექსანდრიის" პრეზიდენტსაც ველაპარაკე და კიდევ ექვსი თვე არ მიშვებს. კონკრეტული წინადადება მქონდა "კრივბასიდან", გამზადებული კონტრაქტიც მელოდა, მაგრამ კლუბმა არ გამიშვა.

**- ახლა თუ გაქვს გაშვების იმედი?**

- უკრაინის ჩემპიონატი უკვე დაიწყო, სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურა და ჩემი გადასვლა ახლა გამორიცხულია. ექვსი თვის შემდეგ კი ვნახოთ.

**- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- მომავალი წლის ზაფხულში, მაგრამ კლუბები თუ მოილაპარაკებენ, კონტრაქტი პრობლემა აღარ იქნება.

# ქეცბაიამ ლობჟანიძე უკვე შეცვალა


კახა ალადაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** 29 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროთასებზე მოასპარეზე ქართული გუნდებიდან არავის დაიმატებდა.

თუმცა სანაკრებო შეკრებაზე **უჩა ლობჟანიძის** ტრავმით გამოცხადებამ იძულებული გახადა, კრივოი როგის "კრივბასში" მოთამაშე მარჯვენა მცველის შემცვლელი სწორედ საქართველოს ჩემპიონატში მოეძებნა და ასეთად ზესტაფონელი **კახა ალადაშვილი** შეარჩია, რომელსაც სანაკრებო დონეზე თამაშის გამოცდილებაც აქვს და თავად ქეცბაიასაც სანაკრებო შეკრებაზე არაერთხელ გამოუძახებია.

პირველ დღეს ალადაშვილი ქეცბაიას არ დაუტვირთავს, ისევე, როგორც კიდევ ერთი ზესტაფონელი, ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი** – ორივემ მსუბუქად ივარჯიშა.

უჩა ლობჟანიძე კი, ტრავმის მიუხედავად, ბაზაზე მაინც გამოცხადდა, ვარჯიშს ტრიბუნიდან უყურა და შეკრების პირველი დღე გუნდთან ერთად გაატარა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## ქართული ფეხბურთი

● ტრანსფერი

# ჩვენ ვეძებთ ქართველებს
# მერაბ გიგაური იაგელონიელია
### ძალამიძემ პოლონელები ჩვენკენ მოახედა



საფეხბურთო კულუარებში იყო ლაპარაკი, თითქოს ბოლნისის "სიონში" ითამაშებდა 19 წლის ტორპედოელი, ასაკობრივი ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი მერაბ გიგაური, მაგრამ ეს ხმები ხმებადვე დარჩა.

გიგაური ამჟამად პოლონეთშია და ექსტრაკლასას ბიავისტოკის „იაგელონიაში" ვარჯიშობს, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ 8 ქულით მე-7 ადგილზეა.

კლუბის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა ვოიცეხ კობეშკომ გიგაური დადებითად დაახასიათა, პოლონელი თანატოლების ფონზე კარგად გამოიყურება და არ არის გამორიცხული, 18 წლის ქართველი ძირითად შემადგენლობაში გადავიყვანოთო.

გუშინ საღამოს კი "იაგელონიას" ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელ;და ინფორმაცია, რომ გიგაურმა, რომელიც ამ კლუბამდე ლოძის „ვიძევში" ვარჯიშობდა, ტესტები წარმატებით ჩააბარა და კლუბში ჩაირიცხა.

### გიგაური იჯარით იაგელონიაში

*ქუთაისის "ტორპედოს" 18 წლის მოთამაშე მერაბ გიგაური "იაგელონიამ"* ნახევარწლიანი იჯარითა და ტრანსფერის გამოსყიდვის უფლებით შეიმატა. გიგაური საყრდენი ნახევარმცველია და იგი ცოტა ხნის წინ "ტორპედომ" გასინჯვაზე გამოუშვა.

"ამ ახალგაზრდას თავის ქვეყანაში ნიჭიერი ფეხბურთელის რეპუტაცია აქვს. ფიზიკურად კარგად არის მომზადებული და გასული სეზონი მთავარ გუნდში მაღალ დონეზე ჩაატარა" – თქვა "იაგელონიას" მთავარმა მწვრთნელმა ჩესლავ მიშნიევიჩმა.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდა ქართველის აყვანა კლუბს მაშინაც სურდა, როდესაც იგი ლოძის "ვიძევში" ვარჯიშობდა.

"პოლონეთის ექსტრაკლასაში ნიკა ალამიძის კარგმა თამაშმა გვაფიქრებინა, რომ საქართველოში ნიჭიერი მოთამაშეები იზრდებიან და ასეთების ძიება ჩვენც დავიწყეთ" - აღიარებს „ყვითელწითლების" მწვრთნელი" – იუწყება "იაგელონიას" პრესსამსახური.

### მერაბ გიგაური

**დაიბადა** 1993 წლის 5 ივნისს თბილისში
**პოზიცია** - საყრდენი ნახევარმცველი.
**სიმაღლე** 182 სმ, წონა 75 კგ.

**კარიერა:**

2008-2009 "ავაზა-ვისოლი"
2009-2010 – ქუთაისის "ტორპედო" (20 მატჩი, 1 გოლი)
2011 – "იაგელონია"

**სანაკრებო კარიერა:**

საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებები
2010 წელს ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში ჩეხეთში გიორგი დევდარიანის ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრებში.

სხვათა შორის, გიგაურს საქართველოს ჩემპიონატში ერთი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ რა გოლი - სწორედ მისი ზუსტი დარტყმით გაიმარჯვა ქუთაისის "ტორპედომ" გასულ სეზონში "ზესტაფონთან" საშინაო შეხვედრაში.

**მერაბ მამულაშვილი**

● სატრანსფერო მიდი-მოდის ფინიშთან

# კემუხტაშვილი და მეტალურგები სიონში

სატრანსფერო ვადის დასრულებამდე ერთი დღით ადრე ბოლნისის "სიონში" დიდი ცვლილებები მოხდა.

ამ კლუბში სთავაზობენ კარიერის გაგრძელებას რუსთავის "მეტალურგიდან" გაშვებულ **ვაკო ტყემალაძესა** და **გიორგი მურველაშვილს.** "სიონში" უკვე ჩაირიცხა 19 წლის თავდამსხმელი **ლაშა კემუხტაშვილი** — ბოლნისელები ქუთაისის "ტორპედოს" შეუთანხმდნენ და იგი 6-თვიანი იჯარით დაიმატეს.

სხვათა შორის, ტორპედოელი ფორვარდით აგვისტოს დასაწყიში რუსთავის "მეტალურგი" იყო დაინტერესებული, ისევე, როგორც მეორე ქუთაისელით, **მერაბ გიგაურით**, ორივემ გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც, მაგრამ მოლაპარაკება შეწყდა - რა მიზეზით, ჩვენთვის უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# სოლომონ კვერკველიას სიმბოლური და კარგი პრესა
### რუსი ძომაგი: სამწუხაროა, რომ ის ქართველია



სოლომონ კვერკველია

რუსეთის პრემიერლიგის 22-ე ტურში ყაზანის "რუბინმა" შინ სამარის "კრილია სოვეტოვი" 1:0 დაამარცხა. „ჩემპიონატ.რუმ" ყაზანელთა 19 წლის ქართველი ცენტრალური მცველი **სოლომონ (საბა) კვერკველია** ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, არჩევანი კი ასე დაასაბუთა:

*"ახალგაზრდა ქართველი მცველი ჩვენ თვალწინ იზრდება. ყურბან ბერდიევის ხელმძღვანელობით მას ძალიან ძლიერ მცველად ჩამოყალიბება შეუძლია. "კრილია სოვეტოვთან" შეხვედრაში კვერკველიამ სერგეი კორნილენკოს მეურვეობას მშვენივრად გაართვა თავი. საერთოდაც, ყაზანელთა დაცვა კარგად გამოიყურებოდა და "მშრალადაც" ჩაატარა მატჩი"* – წერს ინტერნეტგამოცემა.

კვერკველიამ მშვენივრად გამოიყენა ის შანსი, რომელიც გამოცდილი ესპანელის, დაშავებული **სესარ ნავასის** უთამაშებლობისას მისცა ყურბან ბერდიევმა და რუსეთის პრემიერლიგაში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაში 10 შეხვედრა ჩაატარა, პერმის "ამკართან" კი გოლიც გაიტანა.

*"ყაზანის "რუბინში" წარმატებული დებიუტი აქვს სოლომონ კვერკველიას. ამის მაგალითად ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მისი მონაწილეობაც იკმარებს. როდესაც ის პირველად გამოჩნდა ძირითადში, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ნიჭიერი ფეხბურთელი მხოლოდ 19 წლისაა. კვერკველია არაფრით ჩამოუვარდება ბევრად გამოცდილ მეწყვილე რომან შარონოვს. მეტიც, ახალგაზრდა ქართველი გამოცდილი ფეხბურთელივით თამაშობს"* – წერს ჟურნალი "ჩემპიონს ლიგა".

სხვათა შორის, კვერკველიას რუსმა გულშემატკივრებმაც დაადგეს თვალი და "სოკერ.რუს" ინტერნეტფორუმში ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეების იმ სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს, რომლებსაც მომავალში რუსეთის ნაკრების ღირსების დაცვას ანდობდნენ.

თუმცა, ერთი გულშემატკივრის ფრაზამ – თავი დაანებეთ, ის ქართველიაო – ყველა დაადუმა. მეორემ კი გულისტკივილით დაწერა – საწყენია, რუსი რომ იყოს, იგნაშევიჩის სრულფასოვან შემცვლელად გამოდგებოდაო.

საბა ახლა თბილისშია, ახალგაზრდულ ნაკრებში ვარჯიშობს და 1-ელ სექტემბერს ქუთაისში ესპანელებთან დაპირისპირებისთვის ემზადება.

**მერაბ მამულაშვილი**

● U21. მეტოქე. ესპანეთი



# ქუთაისამდე ზესტაფონში
### ესპანელები იმერეთს მოივლიან

ხვალ ქუთაისში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესპანელ თანატოლებს უმასპინძლებს. ოთარ გაბელიას გუნდის მეტოქე უკვე საქართველოშია და გუშინ, საღამოს ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა კიდეც.

ესპანელთა მწვრთნელის **ლუის მილიას** შეგირდებმა მოთელვისა და მსუბუქი დატვირთვის შემდეგ ორკარაც ითამაშეს. ესპანელთა დელეგაციის წევრები კმაყოფილნი დარჩნენ მოედნის საფრის მდგომარეობით. სტუმრების ვარჯიშმა ზესტაფონელ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

www.fczestafoni.ge






გუშინ სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ, 74 წლისა გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" 1964 წლის „ოქროს გუნდის" ფეხბურთელი და ბრწყინვალე პიროვნება

**ჯემალ ზეინკლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამწვრთნელო საკითხი

# ბრაზილიური სინდრომი

...ამასწინათ იყო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა **ნიკოლოზ ნეფარიძემ** „ლელოს“ მკითხველს საინტერესო ინფორმაცია რომ მიაწოდა: ბრაზილიის ჩემპიონატში პირველი წრე არ დასრულებულა და უკვე... 25 სამწვრთნელო გადაადგილება მოხდაო! ბრაზილიამდე „ყველანაირად“ შორს ვართ: გეოგრაფიულადაც, კლიმატური სარტყელითაც (ხვალიდან გაზაფხული „ეწვევათ“) და, რაღა თქმა უნდა, საფეხბურთო თვალსაზრისითაც. თანაც, ჯერ კიდევ სამიოთხი წლის წინ ბრაზილიის ჩემპიონატის დონე დიდი ვერაფერი იყო, მაგრამ ბოლო დროს გუნდების უმრავლესობა ფინანსურად მომძლავრდა და იქაურ პირველობაზე ახალგაზრდა ვარსკვლავების (**ნეიმარი, განსო, ლუკასი, ენრიკე**) გვერდით ევროპამოვლილი ცნობილი მოთამაშეებიც (**რობერტინიო, ადრიანო, ლიედსონი, ჟუნინიო, ელანო, ლუიშ ფაბიანო**) ასპარეზობენ. თუმცა, ბრაზილიელებს მაინც შეიძლება „რაღაცაში“ არ ჩამოვრჩეთ: იქაურობის მსგავსად, საქართველოშიც იშვიათზე-იშვიათია ისეთი შემთხვევა, ესა თუ ის მწვრთნელი კონკრეტულ გუნდში... ერთ სეზონს სრულად რომ ჩაატარებს! ეგ კი არა, შესაძლოა, ვაჯობოთ კიდეც: ბოლოს და ბოლოს, ბრაზილიაში 20-გუნდიანი ჩემპიონატი ტარდება, ჩვენთან კი, 10-12-გუნდიან პირველობებში სეზონის განმავლობაში ხომ, ლამის არის, 15-20 სამწვრთნელო გადაადგილება მოხდეს! ჰო, „წავიდა“ ის დრო, ერთი და იგივე ქართველი მწვრთნელი ამა თუ იმ გუნდში „გადაბმულად“ რამდენიმე სეზონს რომ მუშაობდა; არადა, ადრე მართლაც „ჩვეულებრივ“ ამბად აღიქმებოდა ის ფაქტი, როცა ერთი კი არა, რამდენიმე სეზონის განმავლობაში მოძღვრავდნენ თავიანთ კლუბებს **დავით ყიფიანი, გივი ნოდია, რევაზ ძოძუაშვილი, ოთარ გაბელია, რევაზ ბურკაძე, გიგლა იმნაძე, თემურ მახარაძე;** მოგვიანებით ამათ სხვა მწვრთნელებიც შეემატათ, რომლებიც, სულ მცირე, ორი სეზონის განმავლობაში მუშაობდნენ ერთსა და იმავე გუნდში: **გიორგი ჩიხრაძე, ამირან გოგიტიძე, ვლადიმერ ხაჩიძე, გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „დუეტი“, **ბესიკ შეროზია, კობა თედიაშვილი, გია გეგუჩაძე.** აღარაფერს ვამბობთ **სოსო ფილიაზე,** ვინც „კოლხეთში“ რვა სეზონი „გადაბმულად“ მუშაობდა და არცთუ პატარა პაუზის მერე წინა ჩემპიონატში კვლავაც დაუბრუნდა სამწვრთნელო ასპარეზს. ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელთა „მოთმინების უნარზეც“ უნდა ვთქვათ: პირველ ათ ჩემპიონატში (1990-99 წლებში) ამ გუნდს მხოლოდ ორი სპეციალისტი, **შოთა ჭეიშვილი** და **ვალერიან ჩხარტიშვილი** ავარჯიშებდა. ბოლო დროს კი „ხანგრძლივობის რეკორდი“ **რამაზ მუმლაძემ** დაამყარა - ოთხი სეზონის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად რომ მუშაობდა...

## რეკორდის მოლოდინი

...XIX ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი ასპარეზობდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, 9 მწვრთნელმა სეზონი დაიწყო და დაამთავრა! აი, „დიდი ნდობით“ აღჭურვილ მწვრთნელთა ჩამონათვალიც: **ვლადიმერ ხაჩიძე** („ბორჯომი“), **დუშან უჰრინი** („დინამო“), **გიორგი ჩიხრაძე** („ამერი“), **რამაზ მუმლაძე** („ვიტ ჯორჯია“), **თემურ მახარაძე** („ზესტაფონი“), **გიორგი კიკნაძე** („ლოკომოტივი“), **ბესიკ შეროზია** („მგლები“), **კობა ჟორჟიკაშვილი** („სპარტაკი“), **კობა თედიაშვილი** („მესხეთი“).

ამის შემდეგ, ასეთ მწვრთნელთა რიცხვი უფრო და უფრო მცირდებოდა: XX ჩემპიონატში ხუთმა სპეციალისტმა შეინარჩუნა თანამდებობა (შეროზიას, მუმლაძის, კიკნაძისა და თედიაშვილის მსგავსად **ოთარ კორღალიძემ**), მომდევნოში — **კახა კაჭარავამ** („დინამო“), **გელა სანაიამ** („ლოკომოტივი“), გია გეგუჩაძემ („ზესტაფონი“), აი, წინა სეზონში კი ორადორი შემთხვევა გვქონდა — **ელგუჯა ქომეთიანმა** („ბაია“) და გია გეგუჩაძემ („ზესტაფონი“) ჩემპიონატი სრულად ჩაატარეს. ისე, ახალი სეზონი ისე დაიწყო, ვეჭვობთ, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მწვრთნელთა გადაადგილების მხრივ სარეკორდო მაჩვენებელი



გია გეგუჩაძე



ხვიჩა ქასრაშვილი



რამაზ მუმლაძე

არ დაფიქსირდეს: ჯერჯერობით ოთხი ტურია გასული და უკვე სამ გუნდში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი! შეგახსენებთ, რომ უკვე პირველი ტურის შემდეგ რუსთავის „მეტალურგში“ საკადრო გადაადგილება მოხდა და გუნდი **კობა ჟორჟიკაშვილმა** ჩაიბარა; გავიდა კიდევ ერთი ტური და ძალიან ბევრისთვის მოულოდნელი გადადგომის შესახებაც შევიტყვეთ: „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა გია გეგუჩაძემ და ჯერჯერობით მის ნაცვლად ახალგაზრდა სპეციალისტი **გია ჭიაბრიშვილი** მუშაობს. და აი, ახლად დაწყებული სეზონის კიდევ ერთი სამწვრთნელო გადაადგილება: გუშინდელი დღიდან ბოლნისის „სიონის“ მთავარ მწვრთნელად **ხვიჩა ქასრაშვილი** დაინიშნა. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ ქასრაშვილის სამწვრთნელო შტაბში იქნებიან **ვახტანგ ჩაგელიშვილი** და **ჯონი ჯაგიდისი,** — სწორედ ეს ორი ადგილობრივი სპეციალისტი ხელმძღვანელობდა ბოლნისურ გუნდს ახალი სეზონის პირველ ოთხ ტურში. ქასრაშვილმა თავის „ძველ-ახალ“ გუნდში პირველი ვარჯიში გუშინ ჩაატარა და ჩემპიონატში არსებული პაუზის გამოყენებასაც მაქსიმალურად შეეცდება.

ცნობისათვის: 46 წლის სპეციალისტი „ბოლნისის“ სიონში... მეოთხედ ბრუნდება!

## ქასრაშვილის მეოთხე დაბრუნება

... ბოლნისის „სიონი“ უმაღლეს ლიგაში 1995 წელს შემოვიდა და იმის მერე ეს ქვემოქართლური კლუბი მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობს. რა თქმა უნდა, ერთი-ორი „გამონათებაც“ იყო — 2006 წელს **კახა ცხადაძის** ხელმძღვანელობით „სიონი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, 2003 წელს კი **თემურ მახარაძის** თავკაცობით გუნდი საქართველოს თასის ფინალში გავიდა. რაც მთავარია, ამ 16 წლის განმავლობაში „სიონი“ უმაღლესი ლიგის უცვლელი წევრია, თუმცა ბოლნისური კლუბი მწვრთნელების ხშირი ცვლითაც არის აღსანიშნავი. თავად განსაჯეთ: 1995 წლიდან მოყოლებული დღემდე მხოლოდ 5 შემთხვევა გვახსენდება, კონკრეტული მწვრთნელი სეზონს სრულად რომ ატარებდა: **ნოდარ ხიზანიშვილი** (1995-96), **ანზორ გძელიძე** (1997-98), **სპარტაკ არჩვაძე** (1999-2000), **თემურ მახარაძე** (2002-03), **ოთარ კორღალიძე** (2008-09). დანარჩენ ჩემპიონატებში კი, ორი და სამი კი არა, ხშირად... ოთხი სამწვრთნელო გადაადგილებაც მომხდარა სეზონის განმავლობაში და ასეთი არასტაბილური გარემოს მიუხედავად, „სიონს“ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, არასდროს დამუქრებია.

...თბილისის „დინამოს“ დუბლები, ლანჩხუთის „გურია“, ბათუმის „დინამო“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, რუსთავის „მეტალურგი“, — ხვიჩა ქასრაშვილი საკავშირო პირველობაზე ამ გუნდების შემადგენლობაში წლების განმავლობაში ასპარეზობდა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი რუსთავის „გორდას“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მიიჩნეოდა. მწვრთნელობა კი... სანკტ-პეტერბურგში დაიწყო, სადაც ერთ-ერთ იქაურ გუნდს ავარჯიშებდა; მერე, საქართველოში დაბრუნდა და ჯერ პატარებთან მუშაობდა, შემდეგ კი თბილისის „დინამოში“, უფრო ზუსტად, მეორე გუნდში მიიწვიეს. 2004-05 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში ქასრაშვილის სამწვრთნელო დებიუტი შედგა — ორი მატჩში თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობდა. აი, მომავალი სეზონიდან კი ბოლნისის „სიონი“ ჩაიბარა და ურიგოდ ნამდვილად არ უმუშავია — პირველი წრე გუნდმა პირველ ადგილზე დაამთავრა, თუმცა ქასრაშვილს ბოლნისიდან წამოსვლამ მოუწია. შემდეგ იყო საჩხერის „ჩიხურა“, რუსთავის „ოლიმპი“ და ... ისევ „სიონი“: 2009-10 წლების ჩემპიონატის II ეტაპიდან ბოლნისელებს ხვიჩა ქასრაშვილი წვრთნიდა და საბოლოოდ გუნდმა VI ადგილი დაიკავა. ამის მიუხედავად, ქასრაშვილისა და „სიონის“ გზები ისევ გაიყო: XXII ჩემპიონატი გუნდმა სხვა მწვრთნელით დაიწყო; შემდეგ კიდევ სხვა მოვიდა და მესამე წრის დამთავრებამდე ორი ტური რომ რჩებოდა, სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ მიმავალი „სიონი“... ისევ ქასრაშვილს ჩააბარეს! ძველ-ახალ გუნდში მესამე დაბრუნება შთამბეჭდავი აღმოჩნდა: „სიონმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „ზესტაფონთან“; ამას მოქმედი ჩემპიონის „ოლიმპის“ დამარცხებაც მოჰყვა და გუნდმაც სახიფათო ზონას თავი დააღწია. და აი, მეოთხე დაბრუნებაც...

**გია ტუხაშვილი**

● ლეგიონერი



# გოგუა სარეზერვო სიმბოლურში

## მალე გაირკვევა, დავრჩები თუ არა ვოლგაში

**გოგიტა გოგუა** ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ ხელმძღვანელებმაEEBMA ივლისში ტრანსფერზე დააყენეს, თუმცა ქართველი ნახევარმცველი თბილისის “დინამოში” არ გაუშვეს და დუბლებში ათამაშებდნენ, ახლა კი ძირითადში დააბრუნეს. აკი არც უნანიათ: გროზნოს „ტერეკთან“ 3:0 მოგებულ მატჩში **სარჟან ტურსუნოვმა** პირველი გოლი მისი გადაცემით გაიტანა, მერე თავად გოგიტამ შეაგდო, მეორე ტაიმში კი საჯარიმო დარტყმით კინაღამ დუბლიც შეასრულა.

“სოკერ.რუ”-მ გოგუა ტურის სარეზერვო სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა და ეს ასე დაასაბუთა: *“ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგას” გამარჯვება გოგუას აქტიურობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ტურსუნოვი, ხოჯავა და გოგუა მატჩის გმირები იყვნენ., ტურის სარეზერვო სიმბოლურ ნაკრებში ხოჯავას დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ შეხვედრის მიმომხილველმა სწორედ გოგუა გამოარჩია. სიბრიყვე იქნებოდა, ამას არ დაეთანხმო, თუ ეს შეხვედრა იხილე”.*

რუსულმა „სპორტ ექსპრესმა“ კი გოგიტა გოგუას ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის იხსენებს „ვოლგას“ პრეზიდენტ **ალექსეი გოიხმანის** შეხვედრას ფეხბურთელებთან მის გადადგომამდე...

*“პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ეს მისი ბოლო მატჩი იყო. გვთხოვა, რომ კარგი ფეხბურთი გვეჩვენებინა. ჩვენც კარგად ვითამაშეთ.*

*ვფიქრობ, „ტერეკთან“ დავამტკიცეთ, რომ თამაში შეგვიძლია. როცა ზოგჯერ მატჩში 5 ბურთს უშვებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თამაში არ შეგიძლია და გუნდი ცუდია. რა თქმა უნდა, შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ ეს უნდა გამოვასწოროთ და ყველაფერი კარგად იქნება” – ამბობს გოგუა.*

გოგიტას მის ტრანსფერზე დაყენებაზეც ჰკითხეს, რომლის გამოც კარგა ხანს ვერ თამაშობდა: ახლა შეგიძლიათ თქვათ, რა იქნება შემდეგ?

*“ტრანსფერზე მართლაც დამაყენეს და თვე-ნახევარი არ მითამაშია. მიზეზი ჩემი შეცდომაც იყო და კლუბთან შეუთანხმებლობაც. მგონი, ახლა ყველაფერი გვარდება. თანაც, ახალი კლუბი არ გამოიძებნა და “ვოლგაშიც” შანსი მომცეს. კლუბის წარმომადგენლებს ველაპარაკე, ვთამაშობ და ახლა ყველაფერი კარგადაა. „ვოლგასთან“ კონტრაქტი მაქვს, მაგრამ დავრჩები თუ არა „ვოლგაში“, იმაზეა დამოკიდებული, როგორ აეწყობა საქმეები”.*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● არსენალი



## ვენგერი ხალხს ყიდულობს

„არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ 8 გოლით დარბეული დაცვის კაპიტალური რემონტი ბრაზილიელი მარცხენა მცველის, **ანდრე დოს სანტოსის** ყიდვით დაიწყო. „მეთოფეებმა“ 28 წლის ფეხბურთელში 10,15 მილიონი დოლარი გადაიხადეს. აქამდე სანტოსი თურქულ „ფენერბაჰჩეში“ გამოდიოდა და სტამბოლელთა შემადგენლობაში, 52 შეხვედრაში 10 გოლი შეაგდო. „კორინთიანსის“ ყოფილ ფეხბურთელს ბრაზილიის ნაკრებში 22 თამაში აქვს ჩატარებული. ანდრე სანტოსმა სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა. ის „ემირეით სთედიუმზე“ ოთხ წელიწადს დაყოფს და კვირაში 40 ათას ფუნტს მიიღებს.

ცნობილი გახდა, რომ ვენგერი მხოლოდ უკანა ხაზის გაძლიერებით არ შემოიფარგლება და „ინტერს“ ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერის** შესახებ ჩამოუგდო სიტყვა. თუმცა, სნეიდერის მსურველი გუნდები დიდი დაბრკოლების წინაშე დგანან — 27 წლის ვარსკვლავის გასამრჯელო კვირაში 250 ათასი ფუნტია, ასეთი თანხის გადახდა კი სულ ერთ ან ორ გუნდს თუ შეუძლია.

ანდრე სანტოსის ყიდვამდე ჩრდილოლონდონელთა დირექტორატს არ ესმოდა, რატომ არ ყიდულობს ვენგერი მარცხენა მცველს. ამ ზაფხულს მან ხომ **გაელ კლიში** მიჰყიდა „მანჩესტერ სიტის“. ამბობდნენ, რომ ახალგაზრდების მოყვარული ფრანგი სპეციალისტი ცდილობდა, ფონს 21 წლის **კიერან გიბსით** გასულიყო, მაგრამ მან ორთავა კუნთი იტკინა.

როგორც ირკვევა, კლიშის ისტლენდზე გაშვების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ვენგერი „ნიუკასლ იუნაიტედს“ მიაკითხავდა და **ხოსე ენრიკეს** ყიდვას შეეცდებოდა, მაგრამ „არსენალის“ შეფმა ეს არ გააკეთა და ენრიკეც „ლივერპულის“ გზას დაადგა. მერსისაიდელებმა მასში 6 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ბევრისთვის გასაოცარი იყო, რომ ვენგერმა **არმანდ ტრაორეს** შესანარჩუნებლადაც არ დაადო თითს თითი — 21 წლის სენეგალელი 2 მილიონ ფუნტად „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადაბარგდა.

კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“ 8:2 განადგურების შემდეგ „არსენალის“ ხელმძღვანელობამ ფანების წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო და იმ 3 ათას ადამიანს, რომლებიც გუნდს მანჩესტერში გაჰყვნენ და ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ნაგების თვითმხილველნი გახდნენ, შემდეგი გასვლითი თამაშის ბილეთს დაჰპირდა. „არსენალის“ ოფისმა განცხადება გაავრცელა: *„ჩვენი ფანები, რომლებიც გუნდს მანჩესტერში გაყვნენ, საოცრად ერთგული ხალხია. მათ უდიდესი მხადაჭერა გამოამჟღავნეს და გვინდა მათ მიმართ, რამენაირად, ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ“.*

თუმცა, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში „მეთოფეთა“ ფანებისთვის სტადიონის ბილეთებზე მთავარი იმაში დარწმუნება იყო, რომ გუნდი კიდევ აპირებს გაძლიერებას. გუშინ ისინი ფეხბურთელების გაყიდვით შემოსული თანხის ბაზარზე დახარჯვას ითხოვდნენ.

● შეხედულება

# მარტინ კიოუნის აზრით

**პრემიერლიგის მესამე ტურის მიმოხილვის წერისას ავღნიშნეთ, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ ისეთი რამ მოხდა, რაც ერთ ზოგად წერილში ვერ ჩაეტეოდა და მას შემდეგი კვირის განმავლობაში დავუბრუნდებოდით. ასეც ვიქცევით. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ „არსენალის“ 8:2 ძლევის შესახებ დღეს „მეთოფეთა“ ვეტერანი ფეხბურთელი, 1990-იან წლებში ცნობილი მცველი მარტინ კიოუნი გვიამბობს.**



მარტინ კიოუნი

## დახარჯეთ ფანების ხათრით

*„ოლდ ტრეფორდზე“ „არსენალის“ ფანები თავის გუნდს ორმაგი ძალით უჭერდნენ მხარს. ეს დაუჯერებელიც კი იყო, თუმცა იგრძნობოდა, რომ ხალხს „მეთოფეთა“ დღევანდელი შემადგენლობა არ მოსწონს. გულშემატკივრები თითქოსდა ამბობდნენ, იყიდეთ ახალი მოთამაშეები, გააძლიერეთ გუნდი და ჩვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა კიდევ უფრო დიდი მხარდაჭერა. მათ, რასაკვირველია, კარგად ესმოდათ, რომ სესკ ფაბრეგასს და სამირ ნასრის „ემირეიტ სთედიუმზე“ ველარავინ დააბამდა, მაგრამ ისინი იმასაც ხედავდნენ, რომ სხვა კლუბები ახერხებდნენ ახალი ფეხბურთელების ყიდვას, მათი საყვარელი „არსენალი“ კი საოცრად პასიურობდა.*

*ახალი ფეხბურთელის ყიდვა უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის კარგი. როდესაც გუნდს ახალი მოთამაშე ჰყავს, იზრდება მოლოდინის შეგრძნება. კარგი იქნებოდა „მეთოფეებს“ სკოტ პარკერი ან ვინმე მისი სტილის ნახევარმცველი რომ ეყიდათ. ასეთ მოთამაშეს ჯეკ უილშირი დააკვირდებოდა, მიჰბაძავდა, მისგან ბევრ რამეს ისწავლიდა და მოედნის შუაწელიც გაძლიერდებოდა.*

*ვწერ ამ სიტყვებს და ვგრძნობ, რომ არსენ ვენგერი არავითარ შემთხვევაში არ დამეთანხმება. საქმე ის არის, რომ პარკერი არ გახლავთ იმ ტიპის სწრაფი და გამორჩევით ტექნიკური მოთამაშე, როგორებიც მას უყვარს. „არსენალს“ თავისი პრინციპები აქვს და, ჩვეულებრივ, მათ არ ღალატობს, მაგრამ მოდი, ასე ვთქვათ: ადრე ის 8:2-საც არ აგებდა. რასაკვირველია, ახალი ფეხბურთელის ყიდვა ფულის გადახდასთან გახლავთ დაკავშირებული. მერედა, ამ ფეხბურთელს ხელფასიც უნდა უხადო, მაგრამ თუკი ის სამი-ოთხი ახალგაზრდა თანაგუნდელის ოსტატობას 10-15 პროცენტით მაინც აამაღლებს, ვფიქრობ ხარჯი გამართლებული იქნება.*

*დღეს „არსენალის“ ყველა რგოლს სჭირდება გაძლიერება. უნდა ითქვას, რომ გუნდს მთელ მსოფლიოში სკაუტთა შესანიშნავი ქსელიც აქვს გაშლილი და ამ ქსელმა აუცილებლად უნდა ითამაშოს, თორემ, ჩემი აზრით, რამდენიმე მოთამაშემ, რომელთაც დიდი იმედით შეჰყურებდნენ, ვერ გაამართლეს. მე ლორან კოშელნის, ტომას ვერმაელენს და კიერან გიბსს ვგულისხმობ. ვენგერს გარი კეჰილი რომ ეყიდა, კარგი იქნებოდა.*





## ვენგერი უნდა დარჩეს

*ვფიქრობ, გასულ სეზონში, შინ „ბარსელონას“ დამარცხების შემდეგ ვენგერმა იფიქრა, რომ მისი გუნდის საქმე საუკეთესოდ მიდიოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს „არსენალის“ ქარხანაში სიახლეებია შესატანი. გუნდი ახალ ფეხბურთელებს თითქოსდა კვლავ „აწარმოებს“, მაგრამ მათ შენარჩუნებას ველარ ახერხებს. როგორც ნახეთ ნასრიცა და ფაბრეგასიც „მეთოფეებს“ სწორედ მაშინ წაართვეს, როდესაც ისინი საუკეთესო ფორმაში იყვნენ.*

*თავად „არსენალმა“ ბოლოს ჯიბეში ხელი 2009 წელს ჩაიყო, როდესაც 16,5 მილიონ ფუნტად ანდრეი არშავინი იყიდა. არშავინამდე კი ვენგერის გუნდს მსხვილი შენაძენი 2000 წელს ჰქონდა, როდესაც სილვაინ ვილტორდი იყიდა.*

*ვილტორდი „არსენალმა“ ჯერ კიდევ „ემირეიტ სთედიუმამდე“ შეიძინა ანუ მანამდე, სანამ კლუბი ახალი სტადიონის მშენებლობას შეეჭიდებოდა და ვენგერს ეტყოდა, ეკონომია გაგვაკეთებინეო. ერთი სიტყვით, რაც „მეთოფეებმა“ „ემირეიტის“ ასაშენებლად უზარმაზარი ფული ისესხეს, ვენგერმა ჩამოყალიბებული ფეხბურთელების ყიდვას კატეგორიულად დაანება თავი და ყმაწვილების შეძენა-აღზრდაზე გადავიდა.*

*არსენის ასეთი დამოკიდებულება მისი შემცვლელისთვის მისწრებაა. ის, ვინც ოდესმე „არსენალის“ სათავეში მის ნაცვლად მივა, იყიდის და იყიდის ახალ მოთამაშეებს, მაგრამ ჯერჯერობით გუნდს ისევ ვენგერმა უნდა უხელმძღვანელოს. მას ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ გუნდის მშენებლობა ეხერხება. ახლაც იგივე განმეორდება, უბრალოდ, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს და გუნდში ახალი სახეებიც გამოჩნდეს. თავად განსაჯეთ, იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც გასულ სეზონში „ბარსელონას“ მოუგეს, „იუნაიტედთან“ შეხვედრაში ექვსი არ თამაშობდა — ან უკვე წასულები იყვნენ გუნდიდან, ან დაშავებულები ანაც დისკვალიფიცირებულები გახლდნენ.*




## გააქირავეთ ბავშვები

*„არსენალს“ ასეთი წესი ჰქონდა: ახალგაზრდა ფეხბურთელს თავის სკოლაში აღზრდიდა, შემდეგ კი ცოტა ხნით რომელიმე კლუბში გააქირავებდა. პირადად მეც, სანამ „მეთოფეთა“ შემადგენლობაში მოვხვდებოდი, „ბრაიტონში“ გამიშვეს, რომელიც იმხანად მაშინდელ მეორე დივიზიონში გამოდიოდა. ამან ჩემს კარიერაში უდიდესი როლი ითამაშა. „ბრაიტონიდან“ დაბრუნებული ფაქტობრივად პაუზის გარეშე მოვხვდი „არსენალის“ მთავარ გუნდში.*

*დაბლა ლიგაში გაქირავებული მოთამაშე ხვდება, რომ ფეხბურთი მარტო ლამაზი ბურთაობისგან არ შედგება. ის ბრძოლასა და შრომას სწავლობს. ამით იმის თქმა მინდა, რომ, მაგალითად კარლ ჯენინგსონს არსენალიზაციამდე რომელიმე კლუბში გაქირავება ძალიან მოუხდებოდა. სამწუხაროდ, დღევანდელ „მეთოფეებს“ ამისი რესურსი არ გააჩნიათ. დღეს, ვენგერის განკარგულებაში ტოპფეხბურთელთა და ყმაწვილთა შორის „საშუალო კლასის“ მოთამაშეები არ არიან. ჩვენ ყველანი ტაშს ვუკრავთ „არსენალს“ იმისათვის, რომ ის ყმაწვილებს დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს, მაგრამ დამიჯერეთ, ჯერ რომელიმე, ქვედა ლიგის გუნდში რომ მიელოთ გამოცდილება, ამ ფეხბურთელებისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა.*

## სისტემის კრახი

*ვფიქრობ, დროა „არსენალმა“ უარი თქვას 4-5-1 სისტემაზე და 4-4-1-1 განლაგებას დაუბრუნდეს. თუ გახსოვთ, დენის ბერხკამპი შესანიშნავად თამაშობდა ტიერი ანრის უკან. შემდეგ, ბერხკამპი წავიდა, ვენგერმა კი სესკ ფაბრეგასი მოიყვანა და იძულებული გახდა ნახევარდაცვის შუაში სამი მოთამაშე გაემწკრივებინა. ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ ფაბრეგსს დაცვითი ფუნქციების შეთავსება არ შეეძლო და დამზღვევი სჭირდებოდა.*

*მეორე მხრივ, სამი ცენტრალური ნახევარმცველი იმას ნიშნავს, რომ მოედნის იმ მესამედში, რომელიც მოწინააღმდეგის კართან მდებარეობს, „არსენალს“ ცოტა ფეხბურთელი ჰყავს, რაც სახიფათო მომენტების ნაკლებობას იწვევს. ახლა, ვფიქრობ ფაბრეგასის წასვლა იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობას, ვენგერმა გუნდი მოედანზე ძველებურად, 4-4-1-1 პრინციპით განალაგოს.*

## ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე

*პირადად მე ვიდეოანალიზის მომხრე ვარ, თუმცა ვიცი, რომ ვენგერი ჩანაწერებთან ფრთხილობს. მას მიაჩნია, რომ შეცდომებზე ზედმეტი მითითება და ხაზის გასმა ფეხბურთელებს აკომპლექსებს და საბოლოოდ უფრო უარყოფით შედეგს ვიღებთ, ვიდრე დადებითს. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, „არსენალის“ ფეხბურთელებმა ყურადღებით უნდა უსმინონ ტელემიმომხილველებს, რომლებიც მათ თითოეულ ეპიზოდს წვრილად არჩევენ და შეცდომებზე მიუთითებენ.*

*ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელებმა ისწავლონ, როგორ უნდა მოიქცნენ, როდესაც პოზიციას დაკარგავენ და მიხვდებიან, რომ არასწორ ადგილას აღმოჩნდნენ.*



არსენ ვენგერი

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

● ინგლისის ნაკრები

# ნაკრებში ფილდინგი გამოჩნდა

ინგლისის ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** შეკრებაზე „დერბის" მეკარე **ფრენკ ფილდინგი** გამოიძახა. მიზეზი: „ვესტ ჰემის" 31 წლის კარის მცველი **რობერტ გრინი** დაშავდა.

მოგეხსენებათ, ინგლისელთა ეროვნულ გუნდს ევროპის 2012 წლის შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთთან და უელსთან აქვს სათამაშო. კაპელოს თავდაპირველად შეკრებაზე გრინი ჰყავდა გამოძახებული და იგი მივიდა კიდეც საწვრთნელ ცენტრში, მაგრამ სულ მალე ნათელი გახდა, რომ ის G ჯგუფის ხსენებულ ორ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ექიმებთან ბჭობის შემდეგ კაპელომ და მისმა ასისტენტებმა გადაწყვიტეს, გრინი სოფიაში აღარ წაეყვანათ და სამკურნალოდ „ვესტ ჰემის" ექიმებისთვის დაებრუნებინათ.

ამრიგად, კაპელოს სათადარიგო გოლკიპერის პრობლემა დაუდგა. შეგახსენებთ, რომ გრინის გარდა გამოძახებულნი იყვნენ „მანჩესტერ სიტის" **ჯო ჰარტი** და **დევიდ სტოკდეილი**, რომელიც „ფულჰემს" ეკუთვნის, მაგრამ „იფსვიჩშია" გაქირავებული. მესამე მეკარედ, მათ, როგორც გითხარით, ახლა 23 წლის ფილდინგი დაემატა. ეს ის გოლკიპერია, რომელმაც ივნისში, დანიაში ჩატარებულ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში, ინგლისის 21-წლამდელთა გუნდის სამივე შეხვედრაში ითამაშა.

**ილია ბაბუნაშვილი**



ფრენკ ფილდინგი

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რად გვინდა სნეიდერი, როცა კლევერლი გვყავსო

„მანჩესტერ იუნაიტედი" მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდა „ინტერიდან" 27 წლის ჰოლანდიელი გამთამაშებლის, **ვესლი სნეიდერის** ყიდვას. ინგლისის ჩემპიონი მზად იყო ჰოლანდიელში 35 მილიონი ფუნტიც კი გადაეხადა, მაგრამ ბოლო ცნობის თანახმად (თუმცა, სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს ბოლო ცნობის გაგება ძალიან პირობითია) სნეიდერმა გადაწყვიტა „სან სიროდან" ფეხი აღარ მოცვალოს. მოვლენათა ასეთი განვითარებისა „იუნაიტედის" გულშემატკივარს არ ეშინია. „ოლდ ტრეფორდზე" ამბობენ, რომ მათ ვესლი არ სჭირდებათ, რადგან 22 წლის **ტომ კლევერლი** ჰყავთ, ბიჭი, რომელიც კაცმა არ იცის, საიდან შევარდა დიდ სცენაზე. „არსენალთან" შეხვედრის დროს ტრიბუნაზე მავანმა ფანებმა პლაკატიც კი გამალეს სადაც ეწერა: *„ვის რად უნდა თქვენი ვესლი? ჩვენ ჩვენი კლევერლი გვყავს".*

თავად კლევერლი ამ კითხვას ასე პასუხობს: *„ვის სჭირდება და მე! ვესლი სნეიდერი ფანტასტიკური ფეხბურთელია, მაგრამ თუ ფანებს მიაჩნიათ, რომ მე მისი დონის ფეხბურთის თამაში შემიძლია, ესე იგი სწორად ვმუშაობ".*

მიმომხილველების აზრით, კლევერლი აშკარად სწორ გზაზე დგას. კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" შეხვედრაში, სწორედ ის იწყებდა მასპინძელთა შეტევებს მოედნის შუიდან. თანაგუნდელები მარცხნიდან და მარჯვნიდან მხარს უმშვენებდნენ და ისე ჰყვებოდნენ, რომ საბოლოოდ შეხვედრა, 8:2 დასრულდა.

მასზე ამბობენ, რომ ის ამაღელვებელ ფეხბურთს თამაშობს, ორთაბრძოლებისა არ ეშინია და მისი თამაშის ნახვა მთელი სიამოვნებაა. კლევერლი ამბობს:

*„ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა, მითუმეტეს, როდესაც გვედრით მსოფლიო კლასის ფეხბურთელები გიდგანან, უდიდესი სიამოვნებაა. მე ვარჯიშზე ბევრ რამეს ვსწავლობ, გასახდელში ვუსმენ, რას ამბობენ თანაგუნდელები, მაგრამ როდესაც ყველაფერი ერთად მოედანზე იყრის თავს და ჩანაფიქრი გამოდის, ნამდვილი ბედნიერებაა. დღევანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი" ახალგაზრდული, ენერგიით აღსავსე გუნდია და თუკი ასეთი შემართებითა და დაჟინებით განვაგრძობთ, იმედი მაქვს, ტიტულებსაც მოვიპოვებთ. „არსენალთან" შეხვედრაში გამოჩნდა, რომ კარის წინ მუხლი არ გვიკანკალებს".*



ტომ კლევერლი

მანჩესტერელ ახლგაზრდებს მუხლი არც „ქომუნითი შილდის" დღეს აკანკალებიათ, როდესაც „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში 2:0 ჩამორჩენა 3:2 მოგებად შემოატრიალეს, არც „ვესტ ბრომვიჩთან", სადაც 2:1 მოიგეს და არც „ტოტენჰემთან", რომელიც პრეტენზიული გუნდია, მაგრამ ინგლისის ჩემპიონამდე ბევრი უკლია — „იუნაიტედმა" **ჰარი რედნაპის** გუნდი 3:0 დაამარცხა.

*„ჩვენ სულ შეტევას ვცდილობთ, მეტოქის კარისკენ მივიწევთ. ერთმანეთს ისე მოხერხებულად ვუცვლით ადგილებს, რომ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება მოწინააღმდეგის საჯარიმოში საგოლე პოზიციაში აღმოჩნდეს. ერთმანეთის თამაშის სტილს ისე კარგად ვიცნობთ, რომ ალბათ, ამის ტრიბუნიდან ყურება სიამოვნება უნდა იყოს"* — ამბობს ბესინგსტოკელი ახალგაზრდა, რომელიც 12 წლიდან „მანჩესტერ იუნაიტედის" სკოლაშია. კარიერაში მოკლე პერიოდები ჰქონდა „ლესტერში", „უოტფორდსა" და „უიგანში".

*„ბავშვობიდან ვოცნებობდი იმ დღეზე, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით მოედანზე გავიდოდი და დიდ შეხვედრაში მივიღებდი მონაწილეობას. დღეს ეს ოცნება უკვე ხორცს ისხამს, მაგრამ ამაზე გაჩერება არ შეიძლება. მე „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფიგურების ყურებაში გავიზარდე. ჩემს წინაშე იყვნენ პოლ სქოულზი, გარი ნევილი, ნიკი ბატი და დევიდ ბექჰემი. 23-ნომრიანი მაისურაც იმიტომ ავირჩიე, რომ ის ბექჰემს უყვარდა და დღემდე იცვამს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

● ჩელსი

# სტოკი ვერ შესწვდა ლუკაკუსო



რომელი ლუკაკუ და ანდრე ვილაშ-ბოაში

„სტოკს" „ჩელსის" ბელგიელი ახალწვეულის, 18 წლის **რომელი ლუკაკუს** ქირაობა უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ ლუკაკუ „ლურჯებმა" აგვისტოს დასაწყისში „ანდერლეხტიდან", 20 მილიონ ფუნტად, ანუ 20,6 მილიონ ევროდ გადაიბირეს.

ყმაწვილკაცს, „სტემფორდ ბრიჯზე", ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლუკაკუს დასავლეთლონდონელთა გუნდის ძირითადში დამკვიდრების შანსი ჯერ არ აქვს და ამიტომაც უნდოდა მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** მისი „ბრიტანია სთედიუმზე" იჯარით გაშვება. 33 წლის პორტუგალიელი ფიქრობდა, რომ ბელგიელ ყმაწვილს ნახევარი წლით „სტოკს" მიაქირავებდა, სადაც მას კარგად გამოწვრთნიდნენ და სეზონის მეორე ნახევარში დაუბრუნებდნენ, მაგრამ პრემიერლიგის კანონებმა ამის საშუალება არ მისცა. თურმე, ფეხბურთელის ერთ სატრანსფერო სეზონზე ყიდვა და გაქირავება აკრძალული ყოფილა.

**ილია ბაბუნაშვილი**

● რუსეთი. პრემიერლიგა. XXII ტური

# ამათ ლეგიონერები არ ჰყავდეთ...

**ტომი-ამკარი 0:0**

*55-ე წუთზე გოლიშევმა („ტომი") ვერ გამოიყენა პენალტი*

**ვოლგა-ტერეკი 3:1**

**გოლები:** 1:0 ტურსუნოვი (18), 2:0 გოგუა (39), 3:0 ხოჯავა (55, პენალტით), 3:1 პავლენკო (85)

**როსტოვი-ანჟი 1:1**

**გოლები:** 1:0 კალაჩოვი (72), 1:1 ეტოო (80)

**დინამო-სპარტაკი (ნ) 2:0**

**გოლები:** 1:0 კურანი (17), 2:0 სემშოვი (36)

**ზენიტი-კრასნოდარი 5:0**

**გოლები:** 1:0, 2:0, 3:0 კერჟაკოვი (24, 30, 79-პენალტით), 4:0 შიროკოვი (85), 5:0 დანი (90)

**რუბინი-კრილია 1:0**

**გოლი:** 1:0 დიადიუნი (36)

**ყუბანი-ლოკომოტივი 0:1**

**გოლი:** 0:1 კაისედო (36)

48-ე წუთზე ვარგამ („ყუბანი") ვერ გამოიყენა პენალტი

**სპარტაკი (მ)-ცსკა 2:2**

**გოლები:** 1:0 ველიტონი (45), 1:1 დუმბია (51), 1:2 ტომიჩი (70), 2:2 ემენიკე (75)

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო: ჩინებულ ფორმაში მყოფი „ზენიტი" მანამდე ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს ქულებით გაუთანაბრდა და არმიელები პირველ ადგილზე მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის გამო იმყოფებიან. თანაც, ცსკა-ს მთავარ მწვრთნელს **ლეონიდ სლუცკის** სერიოზული საკადრო პრობლემების გადაჭრა მოუწევს: „სპარტაკთან" უპრინციპულეს დაპირისპირებაში მძიმე ტრავმა მიიღო არმიელთა გუნდისა და რუსეთის ნაკრების მართლაც ჩინებულმა მეკარემ, 25 წლის **იგორ აკინფეევმა.** არმიელები იმასაც აპროტესტებდნენ, რომ ამ ეპიზოდში აკინფეევს განზრახ ეუხეშა „სპარტაკის" ბრაზილიელი ლეგიონერი, 24 წლის **ველიტონი,** თუმცა არბიტრს წესების დარღვევა არ დაუფიქსირებია. ბედის ირონიით, ამ შეხვედრის პირველი გოლი სწორედ ველიტონმა გაიტანა — აკინფეევის ნაცვლად შემოსული სათადარიგო მეკარე, 25 წლის **სერგეი ჩეპჩუგოვი** ამ ეპიზოდშიც უძლური იყო და იმ დროსაც, როცა შეცვლაზე შემოსულმა 24 წლის **ემენიკემ** მართლაც ეფექტური გოლი გაიტანა. „სპარტაკის" ნიგერიელმა ახალწვეულმა ამ დარტყმით თავის გუნდს ქულა მოუტანა და აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არმიელთა მხრიდანაც თავი ლეგიონერებმა გამოიჩინეს: 23 წლის კოტდივუარელმა **სეიდუ დუმბიამ** სეზონში მე-13 გოლი გაიტანა, 24 წლის სერბმა გარემარბმა **ზორან ტოშიჩმა** კი — მესამე. სამწუხაროდ, ტურის ამ ცენტრალურ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია „სპარტაკის" 18 წლის ქართველ ლეგიონერს **ჯანო ანანიძეს.** აი, „ზენიტმა" კი მართლაც გაილაღა და „კრასნოდარის" კარში 5 უპასუხო გოლი გაიტანა. შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა „ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების ცენტრფორვარდმა, 28 წლის **ალექსანდრე კერჟაკოვმა** და მიმდინარე ჩემპიონატში პირველი „ჰეთ-თრიქის" ავტორიც გახდა. არანაკლებ ჩინებულად გაისარჯა მასპინძელთა გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, 28 წლის **დანი** — პორტუგალიელმა გამთამაშებელმა ორი საგოლე პასიც მიითვალა და შეხვედრის ბოლო წუთზე ეფექტური გოლიც გაიტანა. „კრასნოდარის" შემადგენლობაში, როგორც ყოველთვის, 90 წუთი ითამაშა გუნდის კაპიტანმა, 29 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილმა;** აი, რაც შეეხება **ოთარ მარცვალაძეს,** ისე როგორც წინა სამ შეხვედრაში, საქართველოს ნაკრების 27 წლის გარემარბი ამჯერადაც შეცვლაზე შემოვიდა.

გასული ტურის უმთავრესი მოვლენა კი, რაღა თქმა უნდა, „ანჟის" მორიგი ვარსკვლავური შენაძენის, 30 წლის **სამუელ ეტოოს** სადებიუტო მატჩი უნდა ყოფილიყო. ასტრონომიული ხელფასის მქონე კამერუნელი ვარსკვლავი მოედანზე 58-ე წუთზე შემოვიდა და 22 წუთში პირველი „რუსული გოლიც" გაიტანა! თუმცა, ამ გოლში ეტოოზე არანაკლები წვლილი „ანჟის" კიდევ ერთმა ძვირფასმა შენაძენმა, 28 წლის **იური ჟირკოვმა** შეიტანა, რომელმაც შთამბეჭდავი სოლო-რეიდი საგოლე გადაცემით დაასრულა. ამ გოლით „ანჟიმ" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, შეხვედრის პირველი გოლი კი „როსტოვის" ბელარუსმა ლეგიონერმა, 30 წლის **ტიმოფეი კალაჩოვმა** „საფირმო" საჯარიმო დარტყმით გაიტანა (ამ ეპიზოდში „ანჟისა" და საქართველოს ნაკრების 24 წლის მეკარეს **ნუკრი რევიშვილს** ვერავინ დაადანაშაულებდა). ქართველების თემა გავაგრძელოთ და კვლავაც ქების სიტყვებით გვინდა 19 წლის **საბა კვერკველიას** დამაჯერებელი თამაშის აღნიშვნა: „რუბინის" გამოცდილი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი** პერსპექტიულ ქართველ მცველს ისევ დიდ ნდობას უცხადებს.

აი, ნალჩიკის „სპარტაკმა" კი ორი წარმატებული მატჩის შემდეგ წააგო და კვლავაც სახიფათო ზონაში იმყოფება — 29 წლის **დავით სირაძის** გუნდს საკმაოდ „მძიმე" ფინიში ელოდება. სამაგიეროდ, ნავსი გატეხა „ვოლგამ" — ნიჟნი ნოვგოროდელები „ტერეკთან" მატჩში ახალმა მწვრთნელმა, **სერგეი პერედნიამ** გაიყვანა და გუნდმაც ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. ეგ კი არა, „ვოლგას" 6 მატჩი გოლი არ ჰქონდა გატანილი და აი, ასეთი შედეგიანობაც; ჩვენთვის გასახარი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველებმა: 27 წლის **გოგიტა გოგუამ**, 26 წლის **გოჩა ხოჯავამ**, 23 წლის **ზურაბ არზიანმა** და 22 წლის **მათე ვაწაძემ.** მასპინძელთა შორის სხვა ქართველებსაც უნდა ეთამაშათ, მაგრამ 29 წლის **ლაშა სალუქვაძე** ტრავმირებულია, ხოლო 22 წლის **გია გრიგალავა** დისკვალიფიცირებული იყო.



*P.S. ტურში 19 გოლი გავიდა და ნახევარზე მეტი (12) ლეგიონერების ანგარიშზეა.*

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 22 | 13 | 7 | 2 | 41-15 | 46 |
| 2. ცსკა | 22 | 13 | 7 | 2 | 42-17 | 46 |
| 3. დინამო | 22 | 12 | 5 | 5 | 39-25 | 41 |
| 4. რუბინი | 22 | 10 | 8 | 4 | 28-18 | 38 |
| 5. ანჟი | 22 | 10 | 7 | 5 | 25-19 | 37 |
| 6. ლოკომოტივი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-22 | 36 |
| 7. სპარტაკი (მ) | 22 | 10 | 6 | 6 | 30-25 | 36 |
| 8. ყუბანი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-21 | 34 |
| 9. კრასნოდარი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-32 | 26 |
| 10. ტერეკი | 22 | 6 | 5 | 11 | 20-32 | 23 |
| 11. ამკარი | 22 | 5 | 8 | 9 | 15-28 | 23 |
| 12. ვოლგა | 22 | 6 | 2 | 14 | 20-30 | 20 |
| 13. ტომი | 22 | 4 | 8 | 10 | 18-35 | 20 |
| 14. როსტოვი | 22 | 4 | 6 | 12 | 23-37 | 18 |
| 15. სპარტაკი (ნ) | 22 | 3 | 8 | 11 | 18-29 | 17 |
| 16. კრილია | 22 | 3 | 7 | 12 | 14-34 | 16 |

**მომდევნო ტური. 10 სექტემბერი**

ცსკა-დინამო
ლოკომოტივი-ზენიტი
კრასნოდარი-რუბინი
კრილია-ტომი
სპარტაკი (ნ)-როსტოვი
ანჟი-ვოლგა
ამკარი-სპარტაკი (მ)
ტერეკი-ყუბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი – გაზეთი

# თებერვლის ტრაგედია

**შემზარავი ტრაგედია მოხდა 1958 წელს — ავიაკატასტროფაში დაიღუპა ინგლისის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომლის რამდენიმე მოთამაშე ეროვნულ ნაკრებში ქვეყნის ღირსებას იცავდა.**

**ძალიან გთხოვთ, თუ გაქვთ შესაძლებლობა დაწვრილებით გვიამბეთ ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ.**

**რატი კვეტენაძე**
ქუთაისი

## ჯოჯოხეთური ხუთშაბათი

50-იან წლებში ინგლისი საკმაოდ ინტენსიურ საფეხბურთო ცხოვრებას ეწეოდა როგორც ეროვნული ნაკრების, ისე კლუბების დონეზე, მაგრამ უნგრეთის ეროვნულ გუნდთან ორი მწარე მარცხის შემდეგ ბრიტანეთში ყველა დარწმუნდა, რომ ინგლისური ფეხბურთის ბატონობის ხანა სამუდამოდ დასრულდა.

დაახლოებით ამ პერიოდში, 1955 წელს საფუძველი ჩაეყარა კონტინენტის ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირს საკლუბო გუნდებისათვის — ევროპის ჩემპიონთა თასს, მაგრამ ტრადიციულად კონსერვატიულმა ინგლისმა თავის ჩემპიონ, „ჩელსის“ აუკრძალა ამ ტურნირში გამოსვლა.

1956 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა „მანჩესტერ იუნაიტედი“. ინგლისის ფეხბურთის კავშირმა კლუბის ხელმძღვანელებს კატეგორიულად მთხოვა, უარი ეთქვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე. მაგრამ გუნდის მაშინდელი ხელმძღვანელი, წარმოშობით შოტლანდიელი **მატ ბასბი** პრინციპულად არ იზიარებდა კავშირის პოზიციას და თვლიდა, რომ მანჩესტერელთა ახალგაზრდულ, უდავოდ მზარდ კოლექტივს თვითდამკვიდრებისთვის სწორედ ამგვარ ტურნირში მონაწილეობა სჭირდებოდა.

ხანგრძლივი და მძაფრი კამათის შემდეგ ბასბიმ ბრიტანული ფეხბურთის ხელმძღვანელებს დაუმტკიცა, რომ ინგლისის სპორტული ავტორიტეტის გადარჩენა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ თავისი პოტენციალით სწორედ ის გუნდი იყო, რომელიც ბრიტანული ფეხბურთის პრესტიჟსა და სახელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანდა. ბასბი ოპტიმისტი იყო და სჯეროდა, რომ მისი ბიჭები ადრე თუ გვიან მიზანს მიაღწევდნენ.

„მანჩესტერის“ მწვრთნელსა და სელექციონერს ფეხბურთელებთან მუშაობის საკუთარი პრინციპი ჰქონდა, რომელსაც მაშინდელი სპეციალისტები არ იყვნენ შეჩვეულნი. კარგი ბიჭები, — ამბობდა იგი, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ პროფესიონალებს. მე შემიძლია ასობით ახალგაზრდა ფეხბურთელი შევამოწმო, მაგრამ გუნდს არც ერთი არ გამოადგეს. ყოველ შემთხვევაში, თავს კმაყოფილად ჩავთვლი თუ ათასი გასინჯულიდან ერთი მაინც გაამართლებს. თუ არა და მშვიდად და დაკვირვებით განვაგრძობ მეორე ათასეულის გასინჯვას.

ბასბი მართლაც მთელი ცხოვრების მანძილზე დასდევდა ახალგაზრდებს და დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როცა თერთმეტ სასურველ ფეხბურთელს მიაგნო. 50-იან წლებში ბასბის ბიჭებმა ინგლისის იუნიორთა თასი ხუთჯერ მოიგეს, მერე კი, უკვე მოზრდილებთან შეხვედრებში გამოავლინეს „ბასრი კლანჭები“. ასე გახდა მისი გუნდი ინგლისის ჩემპიონატის მონაწილე.

1956 წელს „ახალმა ტალღამ“ კლუბში ახალი ტიპის, ახალი აზროვნებისა და გაქანების ფეხბურთელები მოიყვანა. ესენი იყვნენ ბირნი და ჩარლტონი, კოულმენი და **ბლენჩფლაუერი**, **ჯონსი**, **ვაიოლეტი**, **პეგი** და ბოლოს **დუნკან ედვარდსი** — ბრწყინვალე ნახევარმცველი, რომელიც 17 წლისა უკვე ნაკრებში მიიწვიეს.

ევროპის ჩემპიონთა თასის პირველსავე მატჩებში ეს ახალი ტიპის გუნდი ამარცხებს „ანდერლეჰტს“, დორტმუნდის „ბორუსიას“ და ბილბაოს „ათლეტიკს“. ნახევარფინალში „მანჩესტერმა“ თავის თავზე გამოსცადა ლეგენდარული „რეალის“ ძალა, მაგრამ ეს მაინც სასარგებლო გაკვეთილი იყო.

მომდევნო სეზონს მანჩესტერელი ფეხბურთელები კვლავ წარმატებით იწყებენ: ორი გამარჯვება ირლანდიის „შამროკ როვერსთან“ და ორი შეხვედრის ჯამში წარმატება პრაღის „დუკლასთან“. მერე იყო მეოთხედფინალური, საკმაოდ ძნელი ბრძოლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონზე, რომელიც ინგლისელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს — 2:1.

იუგოსლაველები, რომლებსაც შემადგენლობაში ჰყავდათ რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი (ბეარა, დურკოვიჩი, შეკულარაცი) დიდ იმედებს ამყარებდნენ განმეორებით შეხვედრაზე, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3 (თანაც თამაშს ინგლისელები იგებდნენ 3:1). ორი გოლი ამ პრინციპულ მატჩში ბობი ჩარლტონმა გაიტანა და „მანჩესტერი“ ნახევარფინალში გავიდა.

მეორე დღეს, 1958 წლის 6 თებერვალს გუნდი მიუნხენში იყო. თვითმფრინავი თოვლით დაფარული რიიმის აეროდრომზე მხოლოდ იმისათვის დაეშვა, რომ შეევსო საწვავის მარაგი და გზა გაეგრძელებინა ბრიტანეთისაკენ. იმ საბედისწერო მომენტში ასაფრენ ზოლს თოვლის სველი ფიფქები ეცემოდა.

მოგვიანებით ბობი ჩარლტონი იტყვის: „1958 წლის 8 თებერვლის ხუთშაბათი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ჯოჯოხეთური დღე იყო“. მაგრამ ჯერ უბედურებაზე არავინ ფიქრობდა და მგზავრებიც მხოლოდ საქმით იყვნენ გართულნი. ფეხბურთელები და ჟურნალისტები გუშინდელი შეხვედრის დეტალებს გულმოდგინედ არჩევდნენ და მომავალ მეტოქეზე მსჯელობდნენ.

„ელიზაბეტ-609“ მოტორების ნელი გუგუნით ასაფრენი ზოლის გზას გაუყვა. საჰაერო ხომალდის კაპიტანმა **ჯეიმს ტაინერმა** ერთხელ კიდევ შეამოწმა ხელსაწყოთა ჩვენებები. ყველაფერი თითქოს რიგზე იყო, მაგრამ... ორკილომეტრიანი ზოლის შუა მონაკვეთზე ხომალდის მეთაურმა გაზს უკლო და ეს ვეება მანქანა უკან სტარტისაკენ მობრუნა. ზუსტად იგივე სურათი განმეორდა მეორე ცდაზეც — მეთაურს რაღაც მეექვსე გრძნობა უფლებას არ აძლევდა ფრენა დაეწყო. არადა ყველა ხელსაწყო ზუსტად, ნორმის ფარგლებში მუშაობდა.

— ძრავაში რაღაც უწესრიგობაა, — გამოაცხადა სიმპათიურმა სტიუარდესამ მგზავრთა დამშვიდების მიზნით. უკან დაბრუნებულ თვითმფრინავთან პირველი ინჟინერ-მოტორისტი მიიჭრა. კაპიტანმა მშვიდად მოახსენა შეყოვნების მიზეზი, თანაც განუმარტა, რომ მარჯვენა ძრავაში უჩვეულო გუგუნის ხმა ხან მკაფიოდ ესმოდა, ხან კი ყრუდ. რემონტს 15 წუთზე მეტი არ დასჭირვებია. ამის შემდეგ „ელიზაბეტ-609“-მ აფრენის უფლება მიიღო.

15 საათზე, 3 წუთსა და 6 წამზე თვითმფრინავი მესამედ მოსწყდა სტარტს. მთავარი პილოტის სავარძელში ამჯერად კაპიტნის მოადგილე რეიმენტი ჩაჯდა, მეთაური კი ხელსაწყოებს ჩაჰკირკიტებდა.

თვითმფრინავმა აიღო სისწრაფე... სპიდომეტრი უკვე 215 კილომეტრს აჩვენებდა, როცა ტაინმა მარჯვენა მხარეს ნაცნობი გუგუნი გაიგონა. მან მექანიკურად სცადა გაზის „დაგდება“, მაგრამ ვინაიდან ამის დრო აღარ იყო, სისწრაფეს მოუმატა. სპიდომეტრის ისარი კი ნელნელა ქვემოთ ეშვებოდა და როცა მან 195 კილომეტრს მიაღწია ასაფრენი ზოლიც დამთავრდა...

კაპიტანი მთელი ძალით აწვებოდა გაზის სახელურს, მაგრამ ამაოდ — სისწრაფე თანდათან ეცემოდა. ბოლოს გასრულდა ასაფრენი ზოლის ბოლო მეტრი და ხომალდი 195 კილომეტრის სისწრაფით გაექანა შენობისაკენ, რომელიც იქვე, 200 მეტრში იდგა. გზად თვითმფრინავმა მარჯვენა გვერდი წამოჰკრა სარემონტო სახელოსნოს ხის კედელს და... ცალი ფრთა „დაკარგა“. ამ დარტყმის შედეგად კუდის ნაწილმა მწვავე დეფორმაცია განიცადა. კორპუსში კი ვეებერთელა ფუღურო გაჩნდა. მომდევნო წამში მანქანა გადაბრუნდა და ძრავას ცეცხლი წაეკიდა.

ბობი ჩარლტონი სასწაულით გადარჩა. პირველივე შეჯახების შემდეგ იგი ფუღუროდან გავარდა გარეთ, იფრინა დაახლოებით 50 მეტრი და მინდორში დაეცა. როგორც კი გონს მოვიდა კვნესის ხმა გაიგო. ვიღაც ნანგრევებიდან ამოსვლას ცდილობდა. ეს იყო ფულკესი, „მანჩესტერის“ მარჯვენა მცველი.

— ფრთხილად — დაუძახა მან ბობის, მე არაფერი მიშავს, აქ ჩემზე უფრო გაჭირვებულებიც არიან.

ფულკესმა და ჩარლტონმა მოიკრიბეს ძალები და ნანგრევებიდან გონწასული ადამიანი გამოიყვანეს. ეს მატ ბასბი იყო.

მეორე დღეს მსოფლიოს ყველა გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა ამ საშინელი ავარიის შესახებ. გაზეთები მომდევნო დღეებშიც ბევრს წერდნენ „ტრაგიკულ გუნდზე“, მის მწვრთნელზე, რომელიც მიუნხენის კლინიკაში სიკვდილს ებრძოდა. დაღუპულთა გვარები გამოცხადდა. აღინიშნა ისიც, რომ გრეგი ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა, პილოტები კი აფეთქების ტალღამ მინდორში გადაისროლა. არც ისინი დაშავებულან სერიოზულად, თუმცა ნერვიულ შოკს დიდხანს მკურნალობდნენ. „მანჩესტერ იუნაიტედს“ მთელი მსოფლიო გულწრფელად თანაუგრძნობდა.

ამ საშინელი კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ გუნდის კაპიტანი **როჯერ ბირნი**, **ტომი ტეილორი**, **ედი კოულმენი**, **მარკ ჯონსი**, **დევიდ პეგი**, **ჯეფ ბენტი**, **ლიამ ვეპანი**, კლუბის მდივანი **უოლტერ კრიკნერი**, მწვრთნელები **ტომი კარი** და **ბერტ ვალპეი**, ჟურნალისტები **ფრენკ სვიფტი** (ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე), **ელფ კლარკი**, **დონ დევისი**, **ჯორჯ ფელოუსი**, **ტომ ჯეკსონი**, **არჩი დელბრუკი**, **ჰენრი როზე**, **ერიკ ტომპსონი**...

მატ ბასბი, დუნკან ედვარდსი, ჯონ ბარი და „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ კაპიტნის ძმა ჯეკი ბლენჩფლაუერი მძიმედ დაშავებლი მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში დააწვინეს. ფაქტობრივად არაფერი მოსვლიათ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულთ: ბ. ჩარლტონს, რ. ვუდს, დ. ვაიოლეტს, გ. გრეგს, კ. მორგანს, ბ. ფულკესსა და ა. სკენლონს.

კატასტროფიდან მეთოთხმეტ დღეს მიუნხენის კლინიკაში, ისე რომ გონს არც მოსულა, გარდაიცვალა **დუნკან ედვარდსი** ინგლისური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი, რომელიც 21 წლისა არც კი იყო. ბასბის მდგომარეობა დიდხანს კრიტიკული ჩანდა. მას ჩამტვრეული ჰქონდა გულმკერდის არე და მძიმედ დაშავებოდა ფილტვები, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა და 72 დღის შემდეგ გამოჯანმრთელებული შინ დაბრუნდა.

ჯონ ბარი და ჯეკ ბლენჩფლაუერი კიდევ დიდხანს იყვნენ ექიმების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ბოლოს გამომჯობინდნენ კიდეც, მაგრამ ფეხბურთს, ცხადია, სამუდამოდ ჩამოსცილდნენ.

დაღუპულ ფეხბურთელთა პატივსაცემად „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონის შესასვლელთან, თვალსაჩინო ადგილზე, ჰკიდია მემორიალური დაფა. იქ ამ საშინელი კატასტროფის ყველა მსხვერპლის გვარია აღნიშნული. ეს ადგილი მუდამ, წელიწადის ნებისმიერ დროს, ყვავილების თაიგულებითაა შემკობილი...







ეროვნული ბიბლიოთეკა

● იუვენტუსი



ელჯერო ელია კარიერას იუვენტუსში გააგრძელებს

# ელია ტურინშია!

## რაში სჭირდება კონტეს ჭირვეული ჰოლანდიელი?

ჰოლანდიელი ნახევარმცველის, **ელჯერო ელიას** „ჰამბურგიდან" „იუვენტუსში" ტრანსფერი დიდხანს კი გაიწელა, მაგრამ საბოლოოდ მაინც შედგა: 24 წლის მარცხენა გარემარბს ბოლოს „იუვენტუსისა" და „გალათასარაის" სახით ორი ვარიანტი ჰქონდა და არჩევანი, რა თქმა უნდა, „იუვეზე" შეაჩერა. ელია ტურინში გუშინ ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა.

„გაძეტა დელო სპორტისა" და „ტუტოსპორტის" ინფორმაციით, „იუვენტუსმა" და „ჰამბურგმა" შეთანხმებას ორშაბათს გვიან ღამით მიაღწიეს. გუშინ გერმანულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ელია ტურინში ჩავიდა, სადაც სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. ჩვენი გერმანელი და იტალიელი კოლეგების ცნობით, „ბებერი ქალბატონი" ჩრდილოგერმანულ კლუბს ელიას სანაცვლოდ 9 მილიონ ევროს გადაურიცხავს და ჰოლანდიელი „იუვესთან" ოთხწლიან კონტრაქტს აფორმებს.

ალსანიშნავია, რომ „ჰამბურგს" **გი დემელის, მიკაელ ტავარესისა** და **სიორენ ბერტრამის** თავიდან მოშორებაც უნდა, მაგრამ ამ მოთამაშეებს მთხოვნელები არ ჰყავთ და დიდი შანსია, რომ HSV-ში ხორცმეტებად დარჩნენ. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ **ენის ბენ-ჰატირა** ბერლინის „ჰერტაში" გადავიდოდა, მაგრამ გუშინ ეს ტრანსფერი ჩაშლილად გამოცხადდა. „ჰამბურგს" არც პერუელი თავდამსხმელი **პაულო გერერო** დატოვებს, რომელმაც გუშინ საბოლოოდ უარყო მოარული ხმები ტრანსფერის თაობაზე.

რაც შეეხება ელიას ტრანსფერს: ნიჭიერი ჰოლანდიელი გარემარბი ჰამბურგელებმა ორი წლის წინ შეიძინეს და ალსანიშნავია, რომ ელიამ ჩრდილოგერმანულ კლუბში პირველი სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა. აი, მეორე სეზონში კი აშკარად მოუკლო და იმედებს ველარ ამართლებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰამბურგის" ხელმძღვანელებს და გულშემატკივრებს ელიას „იუვენტუსში" გაშვებამ გული ოდნავადაც არ დასწყვიტა, რადგან ამ ფეხბურთელისგან აშკარად მეტს ელოდნენ. შესაბამისად, საინტერესოა, რაში სჭირდება „იუვეს" თავკაც **ანტონიო კონტეს** ფეხბურთელი, რომელსაც „ჰამბურგში" აღარ აფასებდნენ?

ელჯერო ელია უდავოდ ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ პრობლემური ხასიათი აქვს. არის მომენტები, როცა ახალგაზრდა ჰოლანდიელი თავისი თამაშით თვით **კრიშტიანო რონალდოს** გვაგონებს ხოლმე, მაგრამ ასეთი მომენტი ძალიან იშვიათია. ელია უმეტესად ჯიუტობით და ეგოისტური საქციელით გამოირჩევა – სწორედ მისი რთული ხასიათი გახდა იმის მიზეზი, რომ გასულ სეზონში მან „ჰამბურგის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და უმეტესად შეცვლაზე ათამაშებდნენ. ფაქტია, რომ ელია თავიდან „იუვეს" სასტარტოშიც ვერ ჩაჯდება. თუმცა ეს ყველაფერი კონტეს ჩვენზე უკეთ ეცოდინება და ვნახოთ, რას მოუხერხებს ჭირვეულ ჰოლანდიელს, რომელიც ვერც ახალი **არიენ რობენი** გახდა და მით უმეტეს, ვერც კრიშტიანო რონალდო, რომელსაც ორი წლის წინ ასე ხშირად ადარებდნენ...

### მარტინესი ჩეზენასკენ

სწორედ ელიას ტრანსფერითაა გამოწვეული ის, რომ ტურინელებმა 28 წლის ურუგვაელი გარემარბი **ხორხე მარტინესი** „ჩეზენაში" გაანათხოვრეს. ტრანსფერი გუშინ ჯერ „ჩეზენას" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, მერე კი „იუვეს" ბოსებმაც. მარტინესი „ჩეზენაში" არენდით მთელ სეზონს გაატარებს. გაგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ „იუვეს" ამ ფეხბურთელის ტრანსფერი 12 მილიონი ევრო დაუჯდა, მარტინესმა კი მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა – სერია A-ში მან მხოლოდ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა, გოლები კი არ გაუტანია.

● ტრანსფერი

# რუმინელი მესი უდინეზეში



გაბრიელ ტორჯე

„უდინეზემ" რუმინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, ბუქარესტის „დინამოს" თავდამსხმელი **გაბრიელ ტორჯე** გადაიბირა. ეს ინფორმაცია გუშინ უდინური კლუბის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს. 21 წლის ტორჯემ, რომელსაც „რუმინელ ლიონელ მესის" უწოდებენ, ფრიულელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ალსანიშნავია, რომ ტორჯეს გადაბირება კიევის „დინამოს" და რამდენიმე გერმანულ და ფრანგულ კლუბს სურდა.

გაბრიელი „ტიმოშოარას" აღზრდილია, სადაც 2005-დან 2008 წლამდე ასპარეზობდა, მერე „დინამოში" ამოყო თავი, სადაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი ძალიან სწრაფად დაიმკვიდრა, მოგვიანებით კი გუნდის ლიდერი გახდა. რუმინეთის ნაკრებში ტორჯეს 10 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი. ვნახოთ, რამდენად ღირსეულად შეცვლის ის „უდინეზეში" **ალექსის სანჩესს**, რომელიც „ბარსელონაში" გადავიდა...

● ინტერი

# მილანმა ფორლანი აღაგზნო

## მორატის დღევანდელი გეგმა: პალასიო ან სარატე

**სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ორი დღით ადრე მილანის „ინტერი" მაგრად გააქტიურდა. მასიმო მორატიმ გუშინ რამდენიმე გარიგება დაძრა, დიეგო ფორლანის ტრანსფერი კი უკვე გაჩარხულია. ამასთან, მორატი დღეს როდრიგო პალასიოს ან მაურო სარატეს ტრანსფერების ბოლომდე მიყვანას აპირებს, „ბრეშადან" კი „ნერაძურიში" „ახალი რობერტო ბაჯო" მიჰყავს...**

გამოჩნდა თუ არა **დიეგო ფორლანი** მილანის აეროპორტში, „ინტერის" გულშემატკივრებმა გამაყრუებელი კიჟინა დასცეს, მანამდე კი, მილანური გრანდის შეფები გამოცდილ ურუგვაელ გოლეადორს საუკეთესო ეპითეტებით ამკობდნენ. სპეკულაციები რამდენიმე კვირის მანძილზე გაიწელა, ახლა კი ფორლანი უკვე მილანშია და კონტრაქტის გაფორმებასაც წინ აღარაფერი უდგას. **სამუელ ეტო'ოს** მახაჭყალის „ანჟიში" გადასვლის შემდეგ „ინტერი" უბრალოდ ვალდებული იყო, ასეთი ტრანსფერი განეხორციელებინა, თუმცა ფორლანი მთლად ეტო'ოს შემცვლელი არ არის...

*„მილანის „ინტერი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და ბედნიერი ვარ, რომ ამ შესანიშნავ ქალაქში ჩამოვედი. „ნერაძურისთან" კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი ნაბიჯილა მაშორებს და ახლა სწორედ ამ ნაბიჯს გადავდგამ. ყველაზე მეტად კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის ვემადლიერები, რომელმაც მართლა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ 32 წლის ასაკში „ინტერის" ფორმა მომერგო. უკვე ვესაუბრე ესტებან კამბიასოს, დიეგო მილიტოსა და ხავიერ ძანეტის. მათ საბოლოოდ დამარწმუნეს იმაში, რომ „ინტერში" გადმოსვლით სწორ ნაბიჯს ვდგამ, - განაცხადა ფორლანმა მილანის აეროპორტში და იქვე დასძინა, - მინდა, კარგად ვითამაშო და რაც შეიძლება ბევრი მატჩი მოვიგო. „ინტერის" გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ. „ინტერს" დიდი მიზნები აქვს და ამ მიზნების მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უკვე მეორე სუნთქვა გამეხსნა."*

დიეგო ფორლანმა მადრიდის „ატლეტიკოში" 4 წელი გაატარა და 134 მატჩში 74 გოლი გაიტანა. ურუგვაელი ორჯერ გახდა პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი, 2010 წელს კი დედაქალაქელებთან ერთად ევროპის ლიგაც მოიგო. გეხსომებათ, „ატლეტიკომ" ფინალში „ფულჰემი" 2:1 დაამარცხა და ორივე გოლი ფორლანმა გაიტანა. ამ ზაფხულს კი ფორლანმა ურუგვაის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკა მოიგო და ფინალში პარაგვაის ასევე ორი გოლი გაუტანა, რითაც წარმატებაში ლომის წვლილი შეიტანა.

### პალასიო ან ისევ სარატე?

„ინტერის" სატრანსფერო გეგმები ფორლანით არ ამოწურულა. მართალია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მხოლოდ ერთი დღელა დარჩა, მაგრამ ხომ იცით, იტალიაში ყველაფერი ბოლო წუთებში ხდება ხოლმე. მორატის ერთ-ერთი სამიზნე ჯენოელი **როდრიგო პალასიოა**. გუშინ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რაზეც „გაძეტა დელო სპორტი" წერდა. პრობლემა „ჯენოას" მოთხოვნაა: ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, გენუელები პალასიოს სანაცვლოდ 9 მილიონ ევროს ითხოვენ და ამ თანხას ფეხს არ უცვლიან, მორატის კი ამდენის გადახდა არ უნდა. „გაძეტა დელო სპორტისვე" ინფორმაციით, თუ მილანელები პალასიოს ვერ გადაიბირებენ, კიდევ ერთხელ შეუტევენ **მაურო სარატეს**, რომლის გადაბირება „ინტერს" დიდი ხანია უნდა. ალსანიშნავია, რომ სარატე პალასიოზე ძვირად ფასობს...

### სნეიდერი: მანჩესტერი ალბათ არ გამოვა

**ვესლი სნეიდერი** კი ალბათ „ინტერში" დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ასი პროცენტით ცხადია, რომ ჰოლანდიელი გამთამაშებელი „ინტერის" მოსისხლე მტერ „მილანში" არ გადავა, რაც მან გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს": *„ალბათ „ინტერში" დავრჩები, რადგან არა მგონია, რომ სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს რამე შეიცვალოს. ცხადია, „მანჩესტერში" გადასვლა თეორიულად ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ არა მგონია, რომ ბოლო დღეს რამე მოხდეს,"* - უთხრა სნეიდერმა „სქაი იტალიას".

### ახალი ბაჯო ბრეშადან

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ინტერმა" „ბრეშასთან" შეთანხმებას მიაღწია და 16 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი **ლორენცო ტასი** დაისაკუთრა. ფორლანის ტრანსფერის ფონზე ამ ინფორმაციის გაჟღერება მარტო იმიტომ ღირდა, რომ ტასის იტალიაში „ახალ რობერტო ბაჯოს" უწოდებენ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



დიეგო ფორლანი



ლორენცო ტასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. I ტურის მიმოხილვა

# პრიმერას პრემიერა: უსამართლობა და სამართლიანობა

## გაფიცვისგან დაზარალებულნი, 6 გოლის გამშვები სიმბოლურ ნაკრებში და რატომ არის ლა ლიგა მსოფლიოს უდიდესი შაყირი

ესპანური ლა ლიგა ერთი კვირის დაგვიანებით, მაგრამ ზუსტად ისე დაიწყო, როგორც ველოდით - მსოფლიო ფეხბურთის ორმა გრანდმა, „რეალმა" და „ბარსელონამ" პირველივე ტურში სერიოზული განაცხადი გააკეთა, ისევე როგორც პრიმერას ორმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა - მადრიდელმა **კრიშტიანო რონალდომ** და ბარსელონელმა **ლიონელ მესიმ**.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი უსამართლობა, რომელზეც ყურადღება, რატომღაც, ესპანეთშიც კი არ გაამახვილეს - გაფიცულებმა მიზანს მიაღწიეს, მათ მოთხოვნების დიდ ნაწილს დაუკმაყოფილებენ, მაგრამ გაფიცვის პერიოდმა დიდად დააზარალა გუნდების ნაწილი, ნაწილი კი პრივილეგირებულ პოზიციაში ჩააყენა. მოგეხსენებათ, გაფიცვას განსაკუთრებით სეგუნდადივიზიონისა და პრიმერას გაჭირვებულ კლუბებში გულშემატკივრობდნენ. გაფიცვა კი მხოლოდ თამაშზე არგასვლას არ ნიშნავდა - წესით, კლუბებში ყველა სახის სპორტული ღონისძიება უნდა შეწყვეტილიყო, მათ შორის ვარჯიში. კლუბების ნაწილი ასეც მოიქცა, მაგრამ აბა ვინ გაუბედავდა **ჟოზე მოურინიოს**, გაფიცულები ვართ და ვარჯიშზე არ მოვალთო? ზოგიერთი კლუბი სულაც ევროთასებზე გამოდიოდა და ვალდებულიც კი იყო ევარჯიშა და ტონუსი შეენარჩუნებინა. და ვინ დაიჩაგრა? რა თქმა უნდა ისინი, რომლებიც გაფიცვის ყველა პუნქტს პატიოსნად ასრულებდნენ. ეს პირველი ტურის შედეგებშიც კარგად აისახა...



ბარსა ხარობს



ტურის გმირი რობერტო სოლდადოა

### ბარსელონა თამაშობს ერთი მცველით

დავიწყოთ უკანასკნელით ანუ ტურის ბოლო, ორშაბათის მატჩით, რომელშიც ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის ბინადარს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. ბოლო 72 წელია „ბარსელონას" გახსნის მატჩი არ წაუგია „კამპ ნოუზე" და არც ახლა წააგო, თუმცა რომელ წაგებაზეა ლაპარაკი, როცა „ვილიარეალის" ფეხბურთელებს მეტოქის ნახევარზე ბურთით გადასვლაც კი უჭირდათ.

დაიწყო ჩემპიონატი და **ხოსეპ გვარდიოლამ** პირველი სიურპრიზი შემოგვთავაზა - პეპმა 4-3-3-ის ნაცვლად 3-4-3 შემოგვთავაზა. „ვილიარეალის" დარ საშიშ გუნდთან 3 მცველით თამაში, თანაც აქედან ორი ნომინალური ნახევარმცველით, სარისკოა. პეპმა ალბათ ყველა დროის რეკორდი მოხსნა - პრიმერადივიზიონის მატჩში ერთი ნომინალური მცველით (**ერიკ აბიდალი**) ითამაშა. *„იდეა იყო ასეთი - რაც შეიძლება ბურთის მეტი კონტროლი და ნახევარდაცვის დატვირთვა და მუდმივი მოძრაობა"*, - ახსნა თამაშის შემდეგ გუნდის ტაქტიკა ჩემპიონთა თავკაცმა.

5:0 გამარჯვების მიუხედავად, პეპი მიიჩნევს, რომ ეს წინასასეზონო მზადებისა და სეზონის რუბიკონი იყო, ნამდვილი სეზონი კი მაშინ დაიწყება, როცა ფეხბურთელები ეროვნული ნაკრებების მატჩებიდან დაბრუნდებიან. გვარდიოლამ ცაში აიყვანა **სესკ ფაბრეგასი**, რომელმაც დებიუტი გოლით აღნიშნა: *„სესკს ორი დიდებული თვისება გამოარჩევს: პირველი, ის ზედმიწევნით იცნობს კლუბს და მეორე, სესკი ადრეულ ასაკში გახდა „არსენალის" კაპიტანი და უკვე ჩამოყალიბდა პიროვნებად და ლიდერად. ცოტა-ცოტაც და ის „ბარსას" ჩვეულ რიტმში ჩაჯდება, მე მოხარული ვარ მისი კარგი დებიუტით"*.

ამ თამაშში **ვიქტორ ვალდესმა** 410-ედ მოირგო „ბარსას" ფორმა და ის ლეგენდარულ **ანდონი სუბისარეტას** გაუტოლდა, ერთიც და ვალდესს ყველაზე მეტი კეპი ექნება გოლკიპერებს შორის. შეგახსენებთ, რომ სუბისარეტა ამჟამად „ბარსელონას" სპორტული დირექტორია.

მოკლედ ამ მატჩის საინტერესო სტატისტიკიდან:

- „ბარსამ" ბურთი 75%-ით გააკონტროლა.
- „ბარსამ" 981 პასი გააკეთა, „ვილიარეალმა" - 313.
- ყველაზე მეტი პასის ავტორი **ტიაგო ალკანტარაა** - 120 (108 ზუსტი).
- გოლი გაიტანა სამმა ახალწვეულმა (ტიაგო ხომ სარეზერვო გუნდიდან გადმოვიდა) - ალკანტარამ, ფაბრეგასმა და **სანჩესმა**.

### ლეო VS რონი, დუბლი I

დაიწყო ახალი სეზონი და მასთან ერთად ახალი დაპირისპირებაც მსოფლიოს ორ საუკეთესო ფეხბურთელს შორის. მაშ ასე, მესი VS რონალდო, დუბლი პირველი - ვინ ვის?

კრიშტიანო რონალდომ „სარაგოსასთან" მატჩში ჰეთ თრიკი შეასრულა. კარისკენ დაარტყა 15-ჯერ (!), აქედან 7-ჯერ ზუსტად. პორტუგალიელის წინააღმდეგ 4-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი 2-ჯერ დაარღვია წესები.

ლეო მესიმ „ვილიარეალის" კარში „მხოლოდ" 5-ჯერ დაარტყა, თუმცა ყველა დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა, არგენტინელის ანგარიშზე დუბლი და საგოლე პასია, მას 3-ჯერ ეუხეშნენ, თავად კი ერთხელ დაარღვია წესები.

მოკლედ, პირველივე ტურში ორივემ ძალიან მაგრად ითამაშა, ასე რომ - 1:1.

#### ტურის სიმბოლური ნაკრები

goal.com 3-4-3

**რობერტო** (სარაგოსა, 1): გოლკიპერი, რომელმაც 6 გოლი გაუშვა, თუმცა 10-ჯერ გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

**რიკარდო კარვალიო** (რეალი, 1): „რეალის" დაცვას საქმე თითქმის არ ჰქონდა, თუკი მაინც ქმნიდნენ მასპინძლები ხიფათს, მათ პორტუგალიელი ანეიტრალებდა, წინაც თამამად მიდიოდა.

**სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა, 1): ამ პოზიციისთვის კი გვეცოდება, მაგრამ ახალმოვლენილი მცველი უშეცდომო იყო. ერთხელ ბურთი თავით ხარიხას გაარტყა.

**ერიკ აბიდალი** (ბარსელონა, 1): ფრანგმა ლიდერის თვისებები გამოავლინა, წინაც იყო და დაცვაშიც.

**ლიონელ მესი** (ბარსელონა, 1): ჰეთ თრიკს იმსახურებდა, მაგრამ ამჯერად ვერ შესწვდა. ფაბრეგასს გენიალური პასი გადააწოდა.

**პიოტრ ტროხოვსკი** (სევილია, 1): დებიუტი ბრწყინვალე გამოუვიდა, „მალაგასთან" შეხვედრაში შუა ხაზის ბატონ-პატრონი იყო.

**სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა, 1): დებიუტანტმა გოლით აღნიშნა „ბარსელონაში" დაბრუნება. უკვე „კოჭებში ეტყობა", რომ მესისთან დიდებულ ალიანსს ქმნის.

**ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა, 1): გახსნის გოლი შეაგდო, ჩავი სრულფასოვნად შეცვალა.

**რობერტო სოლდადო** (ვალენსია, 1): სოლდადომ 4 გოლი გაიტანა, აქედან ერთი საკუთარ კარში, ბოლო წუთებში მისმა ორმა გოლმა „ვალენსიას" ექტორ კუპერის „რასინგთან" წაგებული თამაში მოაგებინა.

**ალვარო ნეგრედო** (სევილია, 1): ორი ლამაზი გოლი შეაგდო ანდალუსიურ დერბიში.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი, 1): ჰეთ თრიკი.

### ტურის გმირი:

რობერტო სოლდადო (ვალენსია)

მას მივანიჭეთ უპირატესობა და არა რონალდოს ან მესის ერთადერთი მიზეზის გამო - სოლდადომ შეძლო თამაშის ჩარხის შემოტრიალება, რონალდოსა და მესის ეს არ დასჭირვებიათ. ტყუილად არ უწოდა სოლდადოს (ესპანურად ჯარისკაცს ნიშნავს) „ვალენსიას" კაპიტან-გენერალი.

### ტურის ფრაზები

**ხუან კარლოს გარიდო** („ვილიარეალის" მწვრთნელი): *„ახალს არაფერს ვიტყვი - ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ"* - „ბარსელონასთან" 0:5 მარცხის შემდეგ.

**ხავიერ აგირე** („სარაგოსას" მწვრთნელი): *„ვფიქრობ, ყველაფერი, რაც ჩავიფიქრე, შეცდომა იყო"* - „რეალთან" 0:6 მარცხის შემდეგ.

**ხუან იგნასიო მარტინესი** („ლევანტეს" მენეჯერი): *„ნებისმიერი სახით მოპოვებული ქულები ითვლება"* - „ხეტაფესთან" სტუმრად მიღწეული ფრის შემდეგ.

ხოსე რამონ სანდოვალი („რაიო ვალეკანოს" მწვრთნელი): *„შინ ბედნიერები მივდივართ"* - ბილბაოში 1:1 თამაშის შემდეგ.

**ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა): *„რეალი" და „ბარსელონა" ორი ტოპგუნდია. ჩვენ შევეცდებით ყველაფერი მოვუგოთ კონკურენტს"* - I ტურის მატჩის შემდეგ.

**ლეო მესი** (ბარსელონა): *„ჩვენ ვიძახდით, რომ სესკი ჩვენიანია და არ გაუჭირდება გუნდთან შეგუება, ხომ გამოვდექით მართლები"* - „ვილიარეალის" კარში ორი გოლის გატანის შემდეგ.

**მარსელინო** („სევილიას" მწვრთნელი): *„ჩვენ კიდევ მრავალ სიხარულს მივანიჭებთ გულშემატკივრებს"* - „მალაგას" 2:1 დამარცხების შემდეგ.

**მანოლო პრესიადო** („სპორტინგის" მწვრთნელი): *„კიდევ კარგი სატრანსფერო ბაზარი ჯერ ღიაა და შეცდომების გამოსწორების შანსი გვაქვს"*, - შინ „რეალ სოსიედადთან" 1:2 მარცხის შემდეგ.

**ექტორ კუპერი** („რასინგის" მწვრთნელი): *„ამაზე მეტს ბიჭებს ვერც მოვთხოვდი, თავ ზემოთ ძალა აღარაა"*, - „ვალენსიასთან" 3:4 მარცხის შემდეგ.

**პეპე მელი** („ბეტისის" მწვრთნელი): *„ეს არის ოქროს სამი ქულა"*, - სტუმრად „გრანადას" დამარცხების შემდეგ.

**მესუთ იოზილი** (რეალი): *„ჩვენ უკვე მივაღწიეთ „ბარსას" სიმაღლეებს"*.

**ხოსე მარია დელ ნიდო** („სევილიას" პრეზიდენტი): *„ლა ლიგა მსოფლიოს უდიდესი შაყირია, ეს ორი კლუბის ჩემპიონატია"*.

### პირველი...

ჩილელმა ალექსის სანჩესმა და სესკ ფაბრეგასმა პირველად ითამაშეს პრიმერადივიზიონში და დებიუტი გოლებით აღნიშნეს.

### ტურის სტატისტიკა

2 ჰეთ თრიკი: **კრიშტიანო რონალდო (რეალი), რობერტო სოლდადო (ვალენსია).**

2 დუბლი: **ლიონელ მესი (ბარსელონა), ალვარო ნეგრედო (სევილია), იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი).**

#### ახალგაზრდა ფეხბურთელები:

16 წლის: **ვალენსია** (სარაგოსა), **ვადილიო** (ბეტისი).

18 წლის: **ბერნატი** (ვალენსია), **მუნიაინი** (ბილბაო), **სამპერიო** (რასინგი), **კამპანია** (სევილია).

19 წლის: **კურტუა** (ატლეტიკო), **ამატი** (ესპანიოლი), **ტიევი** (ესპანიოლი), **სარაბია** (ხეტაფე), **ალვარესი** (სპორტინგი), **ლ. ბანგურა** (რაიო ვალეკანო).

ყველაზე მეტი მაყურებელი: 75 097 - „კამპ ნოუ"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 8 000 - „კოლისეუმ ალფონსო პერესი"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 35 - რეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 16 - რეალი

ყველაზე მეტი ჯარიმა: 21 - მალიორკა

ყველაზე მეტი კუთხური: 11 - ბარსელონა, ვალენსია

ყველაზე მეტი თამაშგარე: 5 - მალიორკა, გრანადა

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 75% - ბარსელონა

ტრანსფერები

# რუისი ვალენსიაში, ტრეზეგე არაბეთში

გუშინ „ვალენსიამ" გამოაცხადა, რომ „ნაპოლისგან" 22 წლის ესპანელი მცველი **ვიქტორ რუისი** შეიძინა. რუისის შეძენა „მანჩესტერ სიტის" სურდა, მაგრამ „ესპანიოლის" ყოფილმა მოთამაშემ ესპანეთში დაბრუნება მოინდომა. მან „ღამურებთან" 2016 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება.

„გრანადამ" ლისაბონის „ბენფიკას" არგენტინელი შემტევი **ფრანკო ხარა** გადაიბირა. ის ესპანეთში ერთწლიანი იჯარით ითამაშებს. ხარა 23 წლისაა.

**დავიდ ტრეზეგემ**, რომელიც შარშან „ერკულესში" თამაშობდა, გამოაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროების გუნდ „ბანი იასში" გადავიდა. ის ერთ სეზონს დაჰყოფს არაბეთში და 1,7 მილიონ ევროს მიიღებს.

უახლოეს საათებში კიდევ რამდენიმე ტრანსფერი შეიძლება დაგვირგვინდეს (ზოგიც ჩაიშალოს). მაგალითად, **ფერნანდო გაგო** ალბათ „რომაში" გადავა, **ალიაქსანდრ ჰლები** - „ვოლფსბურგში", **პედრო ლეონი** „ხეტაფეს" უბრუნდება, **მაქსველი** შეიძლება „მილანში" გადავიდეს, ჰოლანდიელი **ჯონათან დე გუზმანი** კი „მალიორკას" „ვილიარეალზე" გაცვლის.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტრანსფერი



პერ მერტეზაკერი კარიერას არსენალში გააგრძელებს



# პერი ვენგერთან, მერტეზაკერი მეთოფეა!

## არსენალს გერმანიის ნაკრების მცველი 10 მილიონამდე დაუჯდა, გიოტცეში კი 40 მილიონს იხდიდა

ესეც ასე: როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ნაკრებისა და „ვერდერის" მცველი **პერ მერტეზაკერი** ბრემენს ტოვებს და ლონდონის „არსენალში" გადადის. „ვერდერს" დაცვის ბურჯის გაყიდვა არ უნდოდა, მაგრამ კლუბს ფინანსურად ისე უჭირს, რომ იძულებულია, ერთ-ერთ უმთავრეს ფეხბურთელს შეელიოს. 26 წლის მერტეზაკერი ლონდონში სამედიცინო შემოწმების გასავლელად გუშინ ჩავიდა და დღეიდან ინგლისის 13-გზის ჩემპიონის მოთამაშეა.

მერტეზაკერმა ინგლისის დედაქალაქისკენ გეზი გუშინ, გერმანიის ნაკრების საწვრთნელი ბაზიდან აიღო. როგორც იცით, ბუნდესგუნდის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებისთვის ემზადება. *„პერმა ორშაბათ საღამოს მითხრა, „არსენალიდან" ოფიციალური წინადადება მივიღე და ტრანსფერი ალბათ განხორციელდებაო, რის გამოც ერთი დღით გავათავისუფლე, რათა ლონდონში ჩასულიყო და ყველაფერი მოეგვარებინა,"* - ეს ყველაფერი ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინ დილას თქვა და იქვე დასძინა, მერტეზაკერს დღეს საღამოს ველოდებით.

ამრიგად, პერი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 75 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში კი ჯერ „ჰანოვერის", მერე კი „ვერდერის" ღირსებას იცავდა, ლონდონში პირდაპირ დიუსელდორფიდან გაფრინდა და სამედიცინო შემოწმება გუშინვე გაიარა. „არსენალთან" გაფორმებული კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება და მერტეზაკერი წელიწადში 4.7 მილიონ ევროს მიიღებს. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას: ჩვენი გერმანელი და ინგლისელი კოლეგების ცნობით, „მეთოფეებს" პერის ტრანსფერი 9-10 მილიონი ევრო უჯდებათ.

*„ჩვენთვის მერტეზაკერის წასვლა ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ვყიდით ფეხბურთელს, რომელიც წლების მანძილზე „ვერდერის" დაცვის ბურჯი იყო, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ პერის ძალიან კარგად მესმის. მას არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ძალების მოსინჯვა უცხოეთშიც სურდა, ლონდონის „არსენალში" გადასვლაზე კი, დასამალი არაფერია, დიდი ხანია, ოცნებობს,"* - ეს სიტყვები ბრემენული კლუბის სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** ეკუთვნის, რომელმაც გუშინ მერტეზაკერის „არსენალში" ტრანსფერი პირველმა დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ „მეთოფეებს", კერძოდ კი „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** მერტეზაკერის შეძენა ჯერ კიდევ 2010 წლის მუნდიალის შემდეგ სურდა, თუმცა შარშან გარიგება ვერ შედგა და ლონდონელებმა პერი ვერც იანვარში გადაიბირეს. გასულ უქმეებზე „მანჩესტერ იუნაიტედთან" განცდილი ისტორიული კრახი (2:8) კი, როგორც ჩანს, ვენგერის მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი იყო. ხსენებული კატასტროფის შემდეგ ვენგერს უთქვამს, ფული გვაქვს და ახალ ფეხბურთელებს აუცილებლად ვიყიდითო.

საინტერესო ის არის, რომ პერს „ვერდერთან" კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლითღა აკავშირებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ბრემენელები მას ახლავე არ გაუშვებდნენ, გაისად მერტეზაკერის დათმობა უფასოდ მოუწევდათ, რადგან 26 წლის მცველი ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებდა. აღსანიშნავია, რომ დაცვის მთავარი ბურჯის დაკარგვის შემდეგ, ბრემენელები ახალი მცველის ყიდვას არ გეგმავენ. ალოფსის თქმით, მერტეზაკერის წასვლა დიდი დანაკარგია, მაგრამ „ვერდერის" დაცვა გაძლიერებას მაინც არ საჭიროებს. ცოტა ხნის წინ, „მუსიკოსებმა" **სოკრატის პაპასტატოპულოსისა** და **ანდრეას ვოლფის** სახით ორი ახალი ცენტრალური მცველი შეიძინეს. მათ გარდა, „ვერდერის" მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** განკარგულებაში **ნალდო** და **პრიოდლიც** არიან. მერტეზაკერის დებიუტი ლონდონურ კლუბში 10 სექტემბერს, „სუონსი სიტისთან" მატჩში შედგება.

### ვენგერი გიოტცეში 40 მილიონს იხდიდა!

გუშინვე, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლონდონელებს კიდევ ერთი გერმანელი ფეხბურთელის შეძენა უნდოდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ყველაზე ავტორიტეტული გერმანული სპორტული ჟურნალის, „კიკერის" ცნობით, „არსენალის" ხელმძღვანელებმა დორტმუნდის „ბორუსიას" ოფიციალური წინადადებით მიმართეს და გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავში, 19 წლის გამთამაშებელ **მარიო გიოტცეში** არც მეტი, არც ნაკლები, 40 მილიონი ევრო შესთავაზეს. მოგეხსენებათ, **სესკ ფაბრეგასისა** (ბარსელონაში) და **სამირ ნასრის** (მანჩესტერ სიტიში) გაყიდვის შემდეგ, ლონდონურ კლუბს ფული მართლაც არ უჭირს და ვენგერი მზად იყო, გიოტცეში ასეთი დიდი თანხა დაებანდებინა.

„კიკერისვე" ინფორმაციით, დორტმუნდელთა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ლონდონელ კოლეგებს მოლაპარაკებებზე მაშინვე მტკიცე უარი შეუთვალა. „ბორუსიადან" წასვლაზე თვითონ მარიოც არ ფიქრობს. ერთი სიტყვით, დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა დორტმუნდელები თავიანთ ვარსკვლავებს ფინანსური კრიზისის გამო მარტივად ელეოდნენ. გასულ სეზონში გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა ბრუნვა (136.4 მილიონი ევრო) დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ რვა წლის წინ გაკოტრების პირას მისულ კლუბს დღეს ფინანსურად აღარ უჭირს. თუკი „ბორუსიამ" 2006 წელს თავისი ლიდერი **ტომაშ როსიცკი** „არსენალს" სულ რაღაც 10 მილიონ ევროდ მიჰყიდა, დღეს ლონდონელებმა „ბორუსიას" ხელმძღვანელები უკვე 40 მილიონითაც ველარ გააკვირვეს...

**გოტფრიდ ლენცი**

უახლესი ტრანსფერები

### კოატესი ლივერპულელია, პოულსენი საფრანგეთში წავიდა

„ლივერპულმა" უკვე გაიფორმა ურუგვაელი მცველი სებასტიან კოატესი, რომელსაც ბრიტანეთში შრომის უფლებაც მიენიჭა. ეს ფეხბურთელი 20 წლისაა და აქამდე „ნასიონალის" ღირსებას იცავდა. ჯერჯერობით ცნობილი არაა, რა დაუჯდა კენი დალგლიშის გუნდს კოპა ამერიკას საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი.

„ლივერპული" კრისტიან პოულსენს შეელია, დანიელი ფრანგულ „ევიანში" გადავიდა.

### ნიუკასლმა სანტონი დაიმატა

„ნიუკასლ იუნაიტედმა" 20 წლის იტალიელი განაპირა მცველი **დავიდე სანტონი** დაიმატა, რომელმაც ვერაფრით მოიკიდა ფეხი „ინტერში". ბრიტანული პრესის ცნობით, სანტონი ინგლისელებს 5,6 მილიონი ევრო დაუჯდათ.

### ლიონი ანდალუსიიდან გაძლიერდა

„ლიონმა" ფრანგი განაპირა მცველი **მუჰამადუ დაბო** შეიმატა, რომელიც აქამდე „სევილიაში" ასპარეზობდა. 24 წლის დაბო ანდალუსიელებმა შარშან ზაფხულში „სენტ ეტიენიდან" ისე გადმოიბირა, ევრო არ დახარჯვია. მართალია, დაბომ ვერ გაამართლა ესპანეთში, მაგრამ კლუბს მცირე მოგება მაინც მოუტანა - „სევილიამ" ის 1 მილიონ ევროდ გაყიდა.

### ელიასი სპორტინგში გადავიდა

ლისაბონის „სპორტინგმა" მადრიდის „ატლეტიკოდან" ბრაზილიელი **ელიასი** შეიძინა და ამ ტრანსფერში კლუბისთვის რეკორდული თანხა - 8,8 მილიონი ევრო გადაიხადა. ბრაზილიის ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი ხუთ სეზონს დარჩება პორტუგალიის დედაქალაქში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვოლფსბურგი. ტრანსფერები

# ჩემი ოქრო ჩემთან!

## მაგათმა ბელარუსი შეგირდი გაიხსენა, მაგრამ არის კი ჰლები ოქრო?

**ფელიქს მაგათმა** „შალკეში" ყველასგან დავიწყებული **ალი ქარიმი** რომ მიიყვანა, გაოცებისგან ყველამ პირი დააღო და ირანელს ფეხბურთი დიდად აღარც უთამაშია. ახლა „ვოლფსბურგშია" და იქაც მაკულატურას აგროვებს, საიდანაც რაღაცის გამოძერწვა უნდა – მარტო **კირიაკოსისა** და **ჰიტცლშპერგერის** ტრანსფერები რად ღირს, ამ შემთხვევაში კი უფრო საინტერესო **ჰასან სალიჰამიჯიჩის** გადაბირებაა, რომელიც ქარიმის დარად, „დესპოტი ფელიქსის" ძველი შეგირდია. მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება: მაგათი ძველ, კარგ შეგირდებს იშვიათად ივიწყებს ხოლმე. ფელიქსმა თვალი ახლა ბელორუს ნახევარმცველ **ალიაკსანდრ ჰლებს** დაადგა, რომელიც 2001-დან 2004 წლამდე „შტუტგარტში" სწორედ მაგათის მწვრთნელობის ჟამს თამაშობდა და სწორედ მაშინ გააცნო თავი საფეხბურთო ევროპას. ჰლები ახლა „ბარსელონას" საკუთრებაა, მაგრამ კატალონიურ გრანდს არაფერში სჭირდება. ბელორუსი გამთამაშებელი „ვოლფსბურგს" ყველაფერზე მოურიგდა და სასწაული უნდა მოხდეს, კლუბები რომ ვერ შეთანხმდნენ.

გასულ სეზონში ჰლები ჯერ „შტუტგარტში" იყო განათხოვრებული, სადაც ძალიან ცუდად გამოიყურებოდა და თავიდან მალევე მოიშორეს, მერე კი ინგლისურ „ბირმინგემში", სადაც ასევე არ გაუბრწყინია. ვნახოთ, რაც მოუხერხებს ჰლებს მაგათი. ფაქტია, რომ ამ ფეხბურთელს „ბარსელონაში" მომავალი არ აქვს, ფელიქსს კი გამთამაშებელი სჭირდება.

### ჰელმესს შეუძლია წავიდეს

ამასობაში, მაგათმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი**, რომელიც „ვოლფსბურგმა" იანვარში „ლევერკუზენიდან" 5 მილიონად იყიდა, არაფერში სჭირდება. ფელიქსი მზადაა, დღეს ნებისმიერ მსურველს დაელაპარაკოს და 27 წლის თავდამსხმელი საკმაოდ იაფად დათმოს. პატრიკ ჰელმესს პირველი ბუნდესლიგის 85 მატჩში 35 გოლი აქვს გატანილი, მეორე ბუნდესლიგაში კი 52 შეხვედრაში 31-ჯერ იხეირა.

### დიეგო: გალათასარაი თუ მაინც ატლეტიკო?

დაძრულია ბრაზილიელი გამთამაშებლის, **დიეგოს** საკითხიც, რომელიც მაგათს ასევე არ სჭირდება. 26 წლის ფლეიმეიკერის ტრანსფერი დღეს უნდა განხორციელდეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მაგათი მზადაა, დიეგოს 10 მილიონ ევროდ შეელიოს და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უფრო იაფადაც დათმობს, რადგან ათასჯერ აქვს ნათქვამი, რომ ბრაზილიელს არ ათამაშებს, „ვოლფსბურგში" დარჩენის შემთხვევაში კი საკმაოდ მაღალი ხელფასი ტყუილად უნდა უხადოს. „ბილდის" ცნობით, ბრაზილიელი ან „გალათასარაიში" გადავა, ანაც მადრიდის „ატლეტიკოში".

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გუშინწინ მაგათმა სულ კიდევ ერთი ტრანსფერი სრულყო: „ჰელსინგბორგიდან" 21 წლის შვედი თავდამსხმელი, შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი **რასმუს იონსონი** გადაიბირა.

**გოტფრიდ ლენცი**



8 წლის წინანდელი ფოტო: ალიაკსანდრ ჰლები და ფელიქს მაგათი ერთმანეთს შტუტგარტიდან იცნობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● კალათბურთი

# ვლადიმირ გომელსკი: ქართველები ლიტვაში რუსებთან საბრძოლველად მიდიან



ვლადიმირ გომელსკი

**გუშინ ლიტვაში საზეიმოდ გაიხსნება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელშიც ჯილდოებისთვის 24 გუნდი იასპარეზებს. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ნაკრები, მსგავსი შეჯიბრებების დებიუტანტი. D ჯგუფში მომდევნო რაუნდში გასასვლელად იგი რუსეთს, უკრაინას, სლოვენიას, ბულგარეთს და ბელგიას დაუპირისპირდება. ვის რა შანსი აქვს ამ ჯგუფში? ამის თაობაზე, ალბათ, საინტერესო იქნება რუსი ექსპერტის ვლადიმირ გომელსკის მოსაზრება, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით შემოგთავაზებთ. ცხადია, ჩვენს ქვეჯგუფში მოასპარეზეთა დახასიათებას საქართველოთი დავიწყებთ:**

## საქართველო

### ვარსკვლავი და სხვები

საქართველოს ნაკრების ვარსკვლავი, უდავოდ, ზაზა ფაჩულიაა (210 სმ, 27 წლის, ცენტრი). იგი 8 წელიწადია, ნბა-ში თამაშობს, ბოლო 6 წლის განმავლობაში „ატლანტის“ ღირსებას იცავს. ის უკვე ქართველი კი არა ამერიკელი კალათბურთელია. ბოლო ორ წელიწადში საკმაოდ აიმაღლა ოსტატობა. მას გამოარჩევს მებრძოლი ხასიათი, ენთუზიაზმი, ლიდერობა.

ნაკრებში არის კიდევ ერთი სუპერსიმაღლის მოთამაშე - გიორგი შერმადინი (216 სმ, 22 წლის). გამოდიოდა „პაოს“ და ლიუბლიანის „ოლიმპიაში“. უბრალოდ მაღალი კი არ არის, საკმაოდ მოქნილია და სწრაფი, ოღონდ ზოგჯერ ზედმეტი მოსდის, რადგან უცებ უნდა ლიდერობა.

გუნდში მიიწვიეს ნიკოლოზ ცქიტიშვილი (212 სმ, 28 წლის), მაგრამ დაიბევებს თუ არა შემადგენლობაში ადგილს, არავინ იცის. ნბა-ს შემდეგ მისი ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბში თამაში რაღაც საეჭვოდ ჩანს. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მანუჩარ მარკოიშვილს (196 სმ, 24 წლის), ძალიან შედეგიანი და შეუპოვარი კალათბურთელია - მოედანზე ის მიხეილ ქორქიას მაგონებს. კარგა ხანია, ქართული პასპორტი მიიღო ამერიკელმა მარკეს ჰეინსმა (188 სმ, 25 წლის). ის გამთამაშებელია. ტურნირზე თითოეულ მატჩში სულ მცირე 30 წუთს მაინც ითამაშებს. სრულფასოვანი შემცვლელი მას არ ჰყავს. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველები ლიტვაში მხოლოდ ერთი მატჩისთვის - რუსებთან საბრძოლველად მიდიან. ჩემი თბილისელი ნაცნობების მტკიცებით, ამ პაექრობის მოგებისთვის საკმაოდ მაღალი ჯილდოა დაწესებული.

### მწვრთნელი - შავმუშა

მრავალი წელია, იგორ კოკოშკოვი ნბა-ში მუშაობს. კალათბურთში კარგად ერკვევა, იუგოსლავიის საკალათბურთო სკოლის აღზრდილია. სწორედ ამ ქვეყნიდან წაიყვანეს იგი მშობლებმა ამერიკაში. საქართველოს გარდა, მთავარ მწვრთნელად მას არსად უმუშავია.

### პროგნოზი

საქართველო ჯგუფიდან ვერ გავა, მე-5 ადგილს დაიკავებს.

**ჩვენი კომენტარი:** ძნელია, რუს ექსპერტს ქართველი კალათბურთელების შეფასებაში არ დაეთანხმო - ზუსტად აქვს დაჭერილი მათი დადებითი თვისებები, რომელთა სამზეოზე გამოტანითაც რუს მწვრთნელებს მიანიშნებს, რაზე გაამახვილონ ყურადღება. აი, იმაში კი, რომ ქართველები ლიტვაში მხოლოდ რუსებთან საბრძოლველად მიდიანო, გომელსკის ნამდვილად ვერ დავეთანხმებით, რაშიც ჩვენი ბიჭები სულ მალე დაარწმუნებენ საკალათბურთო სამყაროს: ერთნაირი შემართებით იბრძოლებენ ბელგიელების, ბულგარელების, უკრაინელების, სლოვენებისა და რუსების წინააღმდეგ და წარმატების მისაღწევად არაფერს დაიშურებენ.

ახლა კი სხვა მეტოქეთა შესახებ:

## რუსეთი

### გუნდი ბლოკ-შოტი

ფიბას რეიტინგში მე-11 ადგილი. ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი - 2007 წლის ჩემპიონობა.

რუსეთის ნაკრები თამაშობს მჭიდრო აგრესიული დაცვითა და მრავალშრიანი დაზღვევით. გუნდში ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებიც წარმატებით ირჯებიან დაცვაში (ხრიაპა, კირილენკო, ფრიძონი, მონია, ბიკოვი). ალბათ, საცოდაობა იქნება, მეტოქეს აქტიური დაცვით სულს თუ არ ამოვაძრობთ.

ამასთანავე, გუნდში ორი უნიკალური კალათბურთელია - კირილენკო და ხრიაპა, რომლებიც ისე ჩინებულად კითხულობენ თამაშს, რომ ხუთიდან ოთხ შემთხვევაში პარტნიორთა დაზღვევას ასწრებენ. ასევე, გუნდშია ტიმოფეი მოზგოვი, რომელიც მეტოქეებს სამწამიან ზონაში ბლოკ-შოტით აფრთხობს.

ვფიქრობ, რომ რუსეთის ნაკრები ამ ტურნირზე ყველას გაუსწრებს ბლოკებით. ფაქტობრივად, გუნდის ყველა წევრს დაფარებაში უპირატესობა ექნება. მიმაჩნია, რომ დაცვაში ყველაფერი რიგზეა, თავდასხმაში კი ცოტას მოვისუსტებთ. ნაკრები იგებს ფართან ბრძოლას და იგებს სწრაფ გარღვევებს. სანამ მოედანზე არიან კირილენკო და ფრიძონი, ჩვენებს სასწრაფოდ უპირატესობა აქვთ. შესანიშნავად დარბიან ბიკოვი, პონკრაშოვი, ხვოსტოვი, მოროზ ემელინი - მონია, ხრიაპა და მოზგოვი. ჩვენი ფორვარდები და შემტევი თამაშის ატრიბუტები არიან, მათზე ჯარიმდებიან მეტოქეები.

### მწვრთნელი შემოქმედი

ხუთი წელიწადია, რუსეთის ეროვნულ ნაკრებთან მუშაობს დევიდ ბლატი. მან შექმნა გუნდი, ეს მისი ნაკრებია, სადაც ის ავტორიტეტია და არა ავტორიტარული. ის შემოქმედია, ამავე დრო - შავი მუშაც. მე მას პატივს ვცემ და მის მოსაზრებებს სიამოვნებით ვიზიარებ. ბლატი ნამდვილი მეომარია და თეთრ ბაირაღს არ გამოფენს, სანამ ფეხზე დგას.

### პროგნოზი

ჯგუფურ თამაშებზე მშვიდად ვარ. რუსეთი პირველ ადგილს დაიკავებს. მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გავა და მეოთხედფინალშიც, სადაც უფრო ძლიერი მეტოქეები გვეყოლება. და თუ იქ აღმოჩნდება ლიტვა, რატომ არ უნდა მოვუგოთ მას ზედიზედ მესამედ?



ანდრეი კირილენკო ლიტველებთან შეხვედრისას

## სლოვენია

### გუნდი - დისციპლინა

ფიბას რეიტინგში მეჩვიდმეტეა. ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი მე-4 ადგილი (2009). აქვს გრძელი სკამი, თითოეულ პოზიციაზე ორ-ორი სრულფასოვანი ურთიერთშემცვლელი მოთამაშე ჰყავს. ისინი გამოირჩევიან შედეგიანობით, გადაცემებითა და ფარქვეშ თამაშით. გამოცდილი გამთამაშებლები არიან დალევინებული იაკა ლაკოვიჩი (186 სმ, 33 წლის) და რეაქტიული გორან დრაგიჩი (196 სმ, 25 წლის), ფორვარდები - მატიას სმოდიში (206 სმ, 31 წლის), ერაზემ ლორბეკი (209 სმ, 27 წლის). გამოცდილება, ოსტატობა, დისციპლინა - აი, რა შეიძლება მათ დასახასიათებლად ითქვას. ცენტრი მირზა ბეგიჩი (216 სმ, 26 წლის) და უროშ სლოკარი (209 სმ, 28 წლის) ისეთი მოძრავები არ არიან, როგორიც ნაკრების მესვეურებს სურთ, მაგრამ პოზიციებზე ჩინებულად თამაშობენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სლოკარი სტაბილური ზუსტი სამქულიანი ტყორცნებითაც გამოირჩევა. საერთოდ, სლოვენები უზადოდ ათავსებენ ბურთს კალათში, მაგრამ მათი დაცვა მოიკოჭლებს.

### ავტორიტეტული მწვრთნელი

ბოჟიდარ მალკოვიჩი კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო, ავტორიტეტული დამრიგებელია. განსაკუთრებით მოწადინებულია საამჩეპიონატოდ, რადგან სურს საკლუბო წარმატებები სანაკრებო დონეზე გამარჯვებებით განამტკიცოს. უფრო დაბალანსებული კალათბურთის მომხრეა, თუმცა უფრო შეტევა იზიდავს.

### პროგნოზი

სლოვენებს მეოთხედფინალში გასვლა შეუძლიათ. ჯგუფში ისინი მეორე ადგილს დაიკავებენ და მომდევნო ეტაპზე სამივე შეხვედრის მოგება ხელეწიფებათ.



ზაზა ფაჩულია

## უკრაინა

### სიურპრიზების გუნდი

ფიბას რეიტინგში ორმოცდამესამეა. საუკეთესო შედეგი ევროპის ჩემიონატებზე - პირველი ჯგუფური ეტაპი (2005, 2003, 2001, 1997).

### ცენტრები, ფორვარდი და ამერიკელი

ცენტრების მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს. კირილო ფესენკო (214 სმ, 24 წლის), რომელმაც ორი სეზონი გაატარა „იუტაში“; ჯანსაღადაა. სერგეი ლიშჩუკი (210 სმ, 29 წლის) ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი ცენტრია ევროპაში. მწყობრშია ალექსეი პეჩეროვიც (213 სმ, 25 წლის). უნდა გვახსოვდეს, რომ მას ყოველთვის შეუძლია გაჭრა ფრთაზე და სამქულიანების იქიდან ჩაგდება. გამთამაშებელია ნატურალიზებული სტივენ ბერტი (189 სმ, 27 წლის), კალათბურთელი, რომელიც ზუსტად გაიგებს ყველაფერს, რასაც დამრიგებელი ეტყვის.

### წარმატებული მწვრთნელი

მაიკ ფრატელოს 1988 წლიდან ვიცნობ, როცა მან საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანა „ატლანტა ჰოუქსი“. მაშინ ის ნბა-ში წარმატებული მწვრთნელი იყო. მას თავისი თვისებები და ალლო დღემდე არ დაუკარგავს. ფრატელო უკრაინის ნაკრებში მისმა ყოფილმა შეგირდმა, ამჟამად უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვოლკოვმა მოიწვია. მაიკის გუნდს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

### პროგნოზი

მე-3 ადგილი ჯგუფში.

## ბელგია

### გუნდი - გამოცანა

ფიბას რეიტინგში 75-ე ადგილი. ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო. შედეგი - მე-4 ადგილი (1947).

გუნდის ყველაზე ცნობილი მოთამაშეები არიან ცენტრები: კალათბურთში მთავარი პოლიგლოტი ტომას ვან დენ შპიგელი (214 სმ, 33 წლის) და ფენომენალური ფიზიკური მონაცემების მქონე დიდიე ილუნგა მბენგა (210 სმ, 30 წლის). ნბა-ს გარდა, სად არ უთამაშია ტომასს და ყველგან იმ ქვეყნის ენას სწავლობდა. მბენგას ნბა-შიც მოუსინჯავს ძალები. ისეთი ძლიერია და ისეთი ნახტომები აქვს, მის გვერდით დგომაც კი საშიშია. გუნდში ჰყავთ ორი ნატურალიზებული ამერიკელი - რალფ ბიგსი (200 სმ, 35 წლის, გამთამაშებელი) და მარკუს ფესონი (201 სმ, 33 წლის, ფორვარდი), ოღონდ ნაკრების ღირსების დაცვა მხოლოდ ერთ-ერთს შეუძლია.

### პროგნოზი

ბელგიელები ჯგუფიდან ვერ გავლენ, მე-4 ადგილს დაიკავებენ.

## ბულგარეთი

### გუნდი - აუტსაიდერი

ფიბას რეიტინგში 42-ე ადგილი. ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი - მეორე ადგილი (1957).

ნაკრებში სამ-სამი გეორგიევი და ივანოვია, მაგრამ ევრობასკეტზე ყველანი არ ჩამოვლენ. დეიან ივანოვი (205 სმ, 25 წლის), კალოიან ივანოვი (205 სმ, 25 წლის), ჩავდარ კოსტოვი (195 სმ, 23 წლის), ფილიპ ვიდენოვი (197 სმ, 31 წლის) - აი, ეს კალათბურთელები წარმოადგენენ ნაკრების ძირითად ბირთვს. ძალიან მაინტერესებს, როგორ ითამაშებს პაველ მარინოვი, ცნობილი ბულგარელი კალათბურთელის - პიოტრ მარინოვის ვაჟი. მამამისი იყო უებრო სნაიპერი და ხულიგანი. საინტერესოა, შვილი თუ ჰგავს?

### ბარჩოვსკების მეორე თაობა

როსენი ბარჩოვსკების ოჯახის მწვრთნელთა დინასტიის მეორე თაობის წარმომადგენელია. კალათბურთს ბავშვობიდან იცნობს და იცის, თუ რა მძიმეა დამრიგებლის ტვირთი. მისი გუნდი ჩემპიონატზე მიდის, როგორც აუტსაიდერი, ამიტომ ნებისმიერი გამარჯვება დიდ წარმატებად აღიქმება.

### პროგნოზი

მე-6 ადგილი ჯგუფში.

## საქართველოს გზა ევრობასკეტისკენ

| | |
|---|---|
| საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| ბელგია-საქართველო | 74:64 |
| საქართველო-პორტუგალია | 73:57 |
| ბულგარეთი-საქართველო | 79:83 |
| პოლონეთი-საქართველო | 67:58 |
| საქართველო-ბელგია | 63:86 |
| პორტუგალია-საქართველო | 57:80 |
| საქართველო-ბულგარეთი | 94:83 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

# ქართული კალათბურთის ფოტომატიანე

## თაობათა ესტაფეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1926 წელი



1942 წელი



1950-იანი წლების თბილისის დინამო. მარცხნიდან: ლევან ინწკირველი, ჯუმბერ ნიჟარაძე, ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ კეკელიძე, ოთარ ქორქია



ოთარ ქორქია



მიხეილ ქორქია



ზურაბ საკანდელიძე



გურამ მინაშვილი




ზაზა ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი ცირეკიძესთან

# ზაიზენბახერი ოლიმპიადისთვის რჩება

## ცირეკიძე: დაუმარცხებელი არავინაა, ბრძოლა ყველასთან შეიძლება

**პარიზში დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ირაკლი ცირეკიძე (100) ჩვენი გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა - გუნდის აქტივში მხოლოდ მის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალია. ქართული ძიუდოს ყველაზე წარმატებული ფალავანი, ქართველთა შორის ორი უმაღლესი ტიტულის - ერთადერთი მფლობელი. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი პარიზში ძალზე ძლიერად გამოვიდა და რომ არა მსაჯთა მიკერძოება მეოთხედფინალში ბელგიელ ელკო ფან დერ ხესტთან, დიდი შანსი იყო, ქუთაისელი ძიუდოისტი ახლა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად მოგვეხსენიებინა.**

ამის თქმის უფლებას მის მიერ დამარცხებული ფალავნები და, რაც მთავარია, ჭიდაობის დემონსტრირებული ხარისხი გვაძლევს - ცირეკიძემ პირველ წრეში ბრაზილიელი მსოფლიოს ექსჩემპიონი **ლუსიანო კორეა** პირწმინდად დაჩაგრა და იოტისოდენა შანსიც არ მისცა, მერე ირანელი **ჯავად მაჰჯოუბი** იოლად, გართულებების გარეშე შებოჭა, რასაც იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ **ტაკამასა ანაის** გაბითურება მოჰყვა. დამამშვიდებელ წრეში ცირეკიძემ რუსი **სერგეი სამოილოვიჩი** და ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **რამადან დარვიში** დაამარცხა. ცირეკიძე რომ უშეცდომო არ იყო, ამას თვითონაც გეტყვით დღევანდელ ინტერვიუში, მაგრამ მაინც იმდენად ძლიერად იჭიდავა, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა... საოლიმპიადოდ თუ ვინმემ დაგვიტოვა წარმატების იმედი, უპირველესად - მან. ჩვენებურისთვის ეს ახალ წონაში მსოფლიოზე მოპოვებული პირველი მედალია, რითაც სკეპტიკოსებსაც დაუმტკიცა, რომ 100-შიც შეუძლია დიდი წარმატებების მიღწევა. მით უფრო, პარიზში დანამარცხები მეტოქეების ფონზე. არადა, ამ მედალს წინ დიდი ისტორიები უძღოდა, როცა მისი სპორტული კარიერა ბეწვზე ეკიდა - ერთ-ერთ შეკრებაზე ის მწვრთნელმა არც კი წაიყვანა, თუმცა ახლა ეს ბედნიერი შემთხვევაც კი ჩანს.

**- პარიზში თქვენს გამოსვლას როგორ აფასებთ, გული ხომ არ გწყდებათ, რომ მიზეზთა გამო უკეთეს შედეგს ვერ მიაღწიეთ?**

- წილისყრამ ძალიან ძლიერი ჯგუფი მარგუნა, თუმცა ამან საბრძოლო განწყობაზეც მომიყვანა. ფსიქოლოგიურადაც კარგად ვიყავი მომზადებული და კენჭისყრის შედეგებზე არ მინერვიულია. ანაისთან რევანშის სურვილი მომეცა, რამაც დადებითადაც კი იმოქმედა. მასთან შეხვედრის შანსი შარშანაც მქონდა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, საბოლოოდ ამის საშუალება არ მომეცა. ამიტომ კარგად ვიყავი განწყობილი, ის დღეები არც მინერვიულია და ვემზადებოდი ამ ორთაბრძოლისთვის.

მეტის მიღწევაც რომ შეიძლებოდა, ესეც ფაქტია. თუნდაც ელკო ფან დერ ხესტთან შეხვედრის დასაწყისში მსაჯებს ის გადაწყვეტილება რომ არ შეეცვალათ, როცა იპონი ვაზარად გადამიკეთეს. შედეგით კმაყოფილი ვარ იმიტომ, რომ შრომა წყალში არ ჩამეყარა და უმედლოდ არ დავრჩი, მაგრამ მეტის მიღწევაც რომ შეიძლებოდა, ესეც აშკარაა.



ირაკლი ცირეკიძე

**- ამით დაამტკიცეთ, რომ 100 კილოგრამშიც ლიდერთა შორის ხართ, რასაც ბევრი სკეპტიკურად უყურებდა.**

- ნელ-ნელა შევეჩვიე ამ წონას, ლიდერებს. ოლიმპიადამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი და ვნახოთ, კიდევ შეიძლება მომატება და იმის დახვეწა, რაც დასახვეწია. სიმართლე გითხრათ, არ ვფიქრობ, რომ ვინმესთან განსაკუთრებული პრობლემები შემექმნება. მთავარია, კარგი მომზადებით და კარგი განწყობით შეხვდე შეჯიბრებას, თორემ ყველას დამარცხება რომ შეიძლება, ეს უკვე დამტკიცდა.

**- ყველაზე რთული შეხვედრა რომელი იყო?**

- ყველაზე უფრო ბრინჯაოსთვის შეხვედრა გამიჭირდა - ისეთი კარგი სტარტის შემდეგ იმგვარი წაგებით და მსაჯთა მიკერძოებით ცოტა დათრგუნვილიც ვიყავი, მაგრამ მაინც გავიმარჯვე.

**- ფან დერ ხესტთან ძალიან დასანანი შეხვედრა წააგეთ. თქვენ რა მიგაჩნიათ მარცხის მიზეზად?**

- ის ძალიან ჭკვიანი მოჭიდავეა და მასთან ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი ძნელია - ტაქტიკურადაც კარგადაა მომზადებული და ტექნიკურიცაა. შენ თუ არ კარნახობ შეხვედრის მიმდინარეობას, გაგიჭირდება. ამიტომ ვუტევდი და ვცდილობდი ქულის გაკეთებას, თორემ ახლაც იყო ლაპარაკი, რატომ არ გავჩერდი და არ დავიწყე ანგარიშის შენარჩუნებაზე ჭიდაობა. არ მქონდა იმედი, საქმე ჰანტეიმდე რომ მისულიყო, მწვრთნელები მე მომცემდნენ მოგებას. ამიტომ არ გავრისკე და არბიტრთა იმედზე არ დავდექი. თან დროც იწურებოდა და ორივე დაღლილებიც ვიყავით.

**- თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რის ხარჯზე მოიპოვეთ ეს მედალი? მით უფრო, იდეალურ პირობებში ნამდვილად არ ემზადებოდით.**

- თუ სპორტში ხარ, ბოლომდე უნდა მოინდომო. მაჩანჩალად ყოფნა არავის სიამოვნებს. მათ შორის - არც მე, მით უფრო, ამხელა წარმატების შემდეგ. თან მსოფლიოს შარშანდელი გამოტოვებული პირველობის მერე, როცა კარგი დასაწყისით აზარტში შესული ისე უაზროდ გამოვეთიშე ბრძოლას. ძალიან დიდ როლს თამაშობს განწყობა და ფსიქოლოგიური მომზადებაც.

**- ფაქტია, რომ მომზადების თქვენეულმა ინდივიდუალურმა გეგმამაც გაამართლა.**

- არსებითად, მხოლოდ ერთი შეკრება გამოვტოვე - იაპონიაში, თუმცა ცოტა გადაღლა ბიჭებსაც ეტყობოდათ.

**- საინტერესოა, შეხვედრის შემდეგ ანაი ან იაპონელები თუ გამოგელაპარაკნენ? ის ძალიან დაჩაგრეთ - ორი ვაზარის ტოლფასი გდება გაუკეთეთ.**

- არა, არ გვილაპარაკია. არც იყო ამის დრო - ჩვენი გამოსვლის შემდეგ მხოლოდ გუნდური შეჯიბრება იყო დარჩენილი და იქაც ბიჭებს ვქომაგობდით.

**- ახალ წესებზე ბევრი კამათი იყო, თუმცა შენთვის მისწრება აღმოჩნდა და გადავლებას მშვენივრადაც იყენებდი... პირიქით - იმის შიში აღარ გაქვს, რომ ფეხში შემოვლენ.**

- სხვათა შორის, პარიზში წასვლამდეც იყო ლაპარაკი, რომ გადავლებებზე აფრთხილებენ და სხვა მომენტებზეც ვსაუბრობდით, რაც შეიძლებოდა, ჩემთვის საფრთხილო ყოფილიყო, მაგრამ იქ რომ დავაკვირდი, მთლად ასე არ იყო და მეც უფრო თამამად ვჭიდაობდი.

**- ალბათ, საოლიმპიადოდ მოსამზადებელ გეგმას ჯერ ვერ განიხილავდით დროის სიმცირიდან გამომდინარე, მაგრამ თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რა კომპონენტში გჭირდებათ მომატება, რაში უნდა გაძლიერდეთ?**

- ჯერ ორი კვირით დასვენების ნება მოგვცეს და, ალბათ, ამის შემდეგ შეიკრიბება ფედერაცია, მწვრთნელთა საბჭო და გეგმას განიხილავენ და ალბათ, ჩვენც მერე გაგვაცნობენ.

მე რაც შემეხება, 90-ში ფიზიკური მომზადების პრობლემა არ მქონია, მაგრამ აქ ცოტა მომატება მჭირდება.

**- ფან დერ ხესტთანაც დაგეტყოთ დაღლა... საერთოდ, მასთან მეორედ წააგეთ და როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე შეიძლება მისი დამარცხება?**

- ბელგიელთან შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა და დაღლაც ამიტომ დამეტყო. მასთან მეტი ტაქტიკური ჭიდაობაა საჭირო.

**- გუნდზეც მინდა გკითხოთ. თქვენი აზრით, რა აკლდა ნაკრებს, ბიჭები რატომ ვერ გამოვიდნენ უკეთესად? ზემოხსენებული დაღლილობის გარდა, კიდევ რა იყო ამის მიზეზი?**

- ცოტა ტაქტიკური მომზადებაც აკლდათ ბიჭებს, რაც გუნდურში მეტ-ნაკლებად გამოვასწორეთ. იქ სხვანაირი დავალებები მივეცით ბიჭებს და უკეთაც გამოვიდნენ. მაგალითად, ვალერი ლიპარტელიანს დაიკი ნიშიამასთან შეხვედრის წინ ვურჩიეთ, უფრო ქართულ სტილში ეჭიდავა, რითაც ვჩაგრავთ მათ - ზევიდან გადავლებით, ზევიდან დატვირთვით. რაც ჩვენ უპირატესობას გვაძლევს და რასაც ისინი ვერაფერს უპირისპირებენ, სწორედ ესაა, თორემ იაპონელს თავისი ილეთით, თავისივე ჩავლებით მოუგო, მართლაც უნიკალური მოჭიდავე უნდა იყო. ლიპარტელიანი ბოლოს ცოტა დაიღალა, თორემ გაოცებული იყო, ისე იჭიდავა. გუნდურში მათი შეხვედრა აბსოლუტურად განსხვავებული იყო, ვიდრე - პირადში.

ამის გარდა, ფსიქოლოგიურადაც მეტი სიმყარეა საჭირო. შესაძლებლობა ყველას მეტი აქვს, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა აკლიათ, მეტი რწმენა სჭირდებათ. იმედია, ამას გამოიმუშავებენ. ამასთან, თითქოს „მოხარშულივით" იყვნენ ბიჭები და ბოლომდე ამიტომაც ვერ გამოავლინეს შესაძლებლობები.

P.S. ნაკრებს ავსტრიელი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** თბილისში არ ჩამოჰყოლია - გუნდს ორკვირიანი შვებულება მისცა და თვითონ ავსტრიაში, ოჯახში დაბრუნდა. ამიტომ ფედერაციის პრეზიდენტ **გიორგი ალექსიძეს** დავუკავშირდით. გვაინტერესებდა, რას მიიჩნევდა მარცხის მიზეზად, იყო თუ არა მოსალოდნელი ავსტრიელის კონტრაქტის გადასინჯვა...

**- ალბათ, ტურნირის შედეგებზე ზაიზენბახერთანაც ისაუბრებდით. როგორია მისი და თქვენი აზრი ამ მარცხზე?**

- რამდენიმე მიზეზი მგონია. ერთ-ერთი ბეთქილ შუკვანისა და შალვა ქარდავას ტრავმებიცაა. შუკვანს ანთებითი პროცესი ჰქონდა, რამაც იქ იჩინა თავი. იყო ფსიქოლოგიური მომენტიც. ბიჭებმა მაგრად იმუშავეს და ეგონათ, პრობლემა არ ექნებოდათ, თუმცა როცა წინააღმდეგობას წააწყდნენ, დაიბნენ. წილისყრამაც იმოქმედა მათზე.

**- ანუ მიგაჩნიათ, რომ გუნდი სწორად მოემზადა?**

- მე მიმაჩნია, რომ აქ ადაპტაციის პრობლემა იყო. ბიჭები თებერვლიდან მოყოლებული ემზადებოდნენ და ეს ვარჯიშები ვერ მიიღეს, ხოლო რაც მიიღეს, ეგონათ, რომ ეს მოიტანდა მედლებს. ვერ ვიტყვი, რომ გუნდი გადაღლილი იყო.

**- ამ შედეგის შემდეგ ზაიზენბახერის კონტრაქტის გადახედვა ხომ არ იგეგმება?**

- ამ ტურნირზე ზაიზენბახერმა ძალიან ბევრი რამე დაინახა ქართველებში. თვითონაც მესაუბრა და მეც დარწმუნებული ვარ, რომ კორექტივებს შეიტანს და შედეგი იქნება. ის ოლიმპიადისთვის გააგრძელებს მუშაობას. ჯერჯერობით კონტრაქტის გადახედვაზე არაა ლაპარაკი.

**- დასასრულ, თქვენი, როგორც პრეზიდენტის აზრით, ხომ არ აჯობებდა, ნაკრები გამოსულიყო საერთაშორისო ტურნირებში - იქნებ იქაც გამოჩენილიყო ეს ნაკლოვანებები და მსოფლიოსთვის გამოგვესწორებინა?**

- ტურნირებში აუცილებლად გამოვლენ.

**- ანუ შეცდომა იყო, აქამდე რომ არ გამოვედით?**

- რაღაც დონეზე მართლაც აჯობებდა, გამოვსულიყავით.

**ირაკლი თავაძე**

წყალხტომა



# საგზურების ბედი ლონდონში გადაწყდება

ჩინეთმა წლეულს ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებას უმასპინძლა - საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატსა და მსოფლიო უნივერსიადას, რომელთა პროგრამებშიც წყალხტომებიც შედიოდა. სინქრონულ ხტომებში მსოფლიოზე ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა მე-12, ხოლო უნივერსიადაზე მე-5 ადგილი დაიკავეს.

- შენჟენში სტუდენტური ფორუმი თავისი სიძლიერით ბევრად აღემატებოდა ორი წლის წინათ ბელგრადში გამართულ მსგავს შეჯიბრებას, - გვითხრა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ**. - ჩინეთში ბევრმა სახელოვანმა სპორტსმენმა იასპარეზა. მაგალითად, წყალხტომაში ექვსი ოლიმპიური და სამი მსოფლიოს ჩემპიონი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში პირველ ადგილზე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები **ჯინ კაი და ლინ ჯინი** გავიდნენ. ჩვენმა ბიჭებმა 371,67 ქულით მე-5 ადგილი დაიკავეს: ბრინჯაოს მედალოსან იაპონელებს, რომლებიც აზიის ვიცე-ჩემპიონები არიან, 2,73 ქულით, ხოლო მეოთხეადგილოსან ამერიკელებს 2,49 ქულით ჩამორჩნენ. ის, რომ შენჟენიდან უმედლოდ დავბრუნდით, გარკვეულწილად არბიტრების არაობიექტურობის ბრალია: სინქრონულ ხტომებს 11-დან 7 აზიელი მსაჯობდა. ალბათ, ამის შედეგი იყო, რომ იაპონელებმა, რომლებმაც ერთი ხტომა საერთოდ ჩააგდეს და შეუფასებელი უნდა დარჩენილიყვნენ, ქულების გარკვეული რაოდენობა მაინც მიიღეს და გაგვისწრეს კიდეც. თუმცა ყველაფრის არბიტრებისთვის გადაბრალებაც არ ივარგებს. ჭოლას და შოთას პირველი-მეორე ხტომა უკეთ რომ შეესრულებინათ, ბრინჯაოს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ყოველივეს მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ბიჭებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთ ოლიმპიადაზე იასპარეზეს და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი მეოთხედ შეასრულეს, ტურნირზე ევროპელებს გაუსწრეს - ოთხგზის ევროპის ჩემპიონები - უკრაინელი კვაშა და პრიგოროვიც კი ჩამოიტოვეს. ასე რომ, მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

**- ოლიმპიადის საგზურებზე რას იტყვით?**

- ჩინეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე სინქრონულში 4 და ინდივიდუალურ ხტომებში 12 ლიცენზია გათამაშდა. დარჩენილი საგზურებისთვის უშელავათო პაექრობები იქნება გაისად 20-26 თებერვალს ლონდონში. სინქრონულში მხოლოდ 4 ადგილია ვაკანტური, რომლებზეც პრეტენზიას 12 წყვილი აცხადებს, მათ შორის ჩვენი დუეტი. ინდივიდუალურში კი 25 ქვეყნის წარმომადგენლები 18 საგზურისთვის იბრძოლებენ. გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ჭანტურიამ 2012 წლის თამაშებში მონაწილეობის უფლება უნდა მოიპოვოს, გადამწყვეტი პაექრობებისთვის მზადებას ვაკის დახურულ აუზში 10 სექტემბერს დავიწყებთ. დეკემბრის შუა რიცხვებში კიევის საერთაშორისო ტურნირზე მოვსინჯავთ ძალებს. გაისად თებერვლის პირველ დეკადაში კი ინგლისს გავემგზავრებით და მსოფლიოს თასის წინ იქ გავივლით საწვრთნელ შეკრებას. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ლონდონიდან ხელცარიელი არ დავბრუნდეთ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავგადასავლები

# ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი - თამილა კახიძე

**სულ რაღაც თითებზე ჩამოსათვლელი წლებია, რაც აქტიურ ჟურნალისტიკას შეელია. ძნელია ნაზი სქესისთვის სპორტული ჟურნალისტობა, თუმცა ქალბატონ თამილას ის ბობოქარი ხანა ახლაც დიდად სასიამოვნო პერიოდად მიაჩნია, იხსენებს განვლილ წლებს და მხიარულ ისტორიებს.**



### მონაწილე

სპორტის სასახლეში მოჭიდავეთა დიდი ტურნირი ტარდება. ავიკიდე მაშინდელი ძალიან მძიმე „ჩამწერი ტექნიკა“ და მივადექი სასახლის შესასვლელს ჩემი ბარგით. ვინ მიშვებს. ვილაც „ახლები“ დაუნიშნავთ.

- სპორტული ჟურნალისტი ვარ, თამილა კახიძე - ვეუბნები. ვინ გაქცევს ყურადღებას.

- საბუთი! - თქვა მოგვიანებით ერთმა. ამოვიღე საბუთი გაოცებულმა და მივაწოდე. შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, მაგრამ ცივად დამიბრუნა:

- მე საბუთი მინდა, ისე ვერ გაგატარებთ! - ამიხსნა ზრდილობიანად. თუ არ გადავირეოდი ნამდვილად არ მეგონა.

- დალოცვილო - ვეუბნები, რაც შეიძლება მშვიდად - მხედავთ, რომ პიროვნება ვარ, ამოდენა „ტექნიკა“ ძლივს მომიხლაფორთებია აქამდე. ჟურნალისტის საბუთს გაჩვენებთ, მეტი რა ვქნა?

- ჩვენ ახალი დირექტორი გვყავს და ყველა ახალს თავისი კანონი მოჰყვება - იყო ბუნდოვანი პასუხი - ჩვენ მხოლოდ მონაწილეებს ვუშვებთ.

ჯერ ვერ გავიგე... სპორტული ჟურნალისტი მონაწილე ვარ, აბა რა ვარ?

- კი მაგრამ... მონაწილე ვარ, ბატონო, უნდა გავაშუქო ღონისძიება.

- რომელ წონით კატეგორიაში ჭიდაობთ? - სრულიად სერიოზულად მეკითხება კარისკაცი. ერთი გადახარხარება ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ რა დროს სიცილია, სადაცაა ჭიდაობა დაიწყება. ისევ, შემთხვევით შემოსწრებულმა ჩვენმა მოჭიდავემ მიცნო და მიხსნა ამ გაუგებრობისაგან. ის კაცი იუმორის დიდი პატივისმცემელი იყო და კარისკაცებს „აუხსნა“:

- ამ ქალბატონმაა 4-5 წელია კლასიკურ ჭიდაობას რაც დაანება თავი და ახლა ჟურნალისტიაო. ამან კი „გაქრა“ და გამატარეს.

ანალოგიური მისიით კიევში მიმავლინეს. გამთენიისას სასტუმროში მისული ადმინისტრატორს ვეუბნები, ნახეთ - კახიძეზე უნდა იყოს ადგილი-მეთქი. გადაფურცლა ჟურნალი და:

- ვო... კახიძე ტ... ესტ ტაკოი - ვაშ ნომერ - 48. ბუდეტე ჟიტ ვმესტე ს ტავარიშომ იზ კიშინიოვა ვიტალიი შჩერაბკოვომ - არც დაფიქრებულა ადმინისტრატორი რას ამბობდა (უძილობამ იცის).

- რას ამბობთ, ბატონო, კაცთან რა მინდა ნომერში?

- რის კაცი... ისიც ჟურნალისტია - დაამთქნარა ადმინისტრატორმა. კინაღამ გადავირიე, მაგრამ იღბლად ის კაცი ჟურნალისტი დილით მიდიოდა სამშობლოში და გათენებამდე ვესტიბიულში ვიჯექი.

მიხვდით ალბათ - კახიძე ტ. კაცი ჰგონებიათ, ან-ტ-ენგიზი, ან ტ-ამაზი და ასე უცერემონიოდ გამამწესეს იმ მამაკაცთან.

ამ ამბების მომსწრე ალბათ ჩემს ადგილზე ყველა ქალი ჟურნალისტი იტყოდა: „ნეტავ მართლა კაცად დავბადებულიყავიო“ - და სწორიც იქნებოდა, რადგანაც ახლა მეც ასე ვფიქრობ.

### თილისმა?

ის წელია სსრკ-ის მოჭიდავეთა ნაკრები რომ პირველად გაემგზავრა ტურნეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრკ-ის უძლიერეს ფალავნებთან ერთად იმყოფებოდა სწორუპოვარი ვახტანგ ბალავაძე, რომლის მრისხანება უკვე ოკეანის იქითაც ცოდნიათ. პირველ დღეს ვახტანგმა ადვილად დაამარცხა მოწინაალმდეგე. მეორე დღესაც. აი, გადამწყვეტ მესამე დღეს კი მსაჯი აშკარად ჩაგრავს. ერთხელ არ ჩაუთვალა ქულა. ვახტანგმა საგანგებოდ მოვლილ ვეება ულვაშზე ჩამოისვა ხელები, ისევ ეკვეთა მეტოქეს და ჰა, ჰა უნდა გააკრას ხალიჩას და... ისევ უადგილო სასტვენი. კვლავ არ ჩაუთვალა მსაჯმა. მართალ კაცს სიმართლე სად დაეკარგება... ისევ ჩამოისვა დინჯად ხელი ულვაშებზე ბალავაძემ და ისევ ეცნენ ერთმანეთს ფალავნები. სუფთა გამარჯვება!

უკვე ფონს გასულმა ქართველმა ისევ დააპირა ულვაშებზე ხელის ჩამოსმა, რომ გადმოხტა ხალიჩაზე ვილაც ადგილობრივი და სანამ ვინმე რაიმეს მოიფიქრებდა ვახტანგს ეცა... პირდაპირ ულვაშზე. ეცა და მოსწია. ერთ ხელს მეორეც მიაშველა და ორივე ხელით ქაჩავს ულვაშს. ერთი ხელის გაქნევით მოისროლა ბალავაძემ მეტიჩარა და თავხედი „მოიერიშე“.

მოგვიანებით გაირკვა ყველაფერი. იმ „აგრესორ“ ულვაშის მტერს უფიქრია, ეს ულვაშები ალბათ მიწებებული აქვს, როგორც თილისმას ხელით ეხება, ახალი ენერგიით იმუხტებაო და უნდოდა ემხილებინა, თუმცა საპასუხოდ მუდამ დაუვიწყარი ალიყური გამოსტყუა გამარჯვებულს.

### ტყუპი

ეს ამბავი არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. საახალწლო გადაცემაზე რადიოში მოვიწვიეთ ახალგაზრდა ფეხბურთელი არველაძე.

საქართველოში ალბათ სულიერი არ არსებობს ტყუპ ძმებს - აჩის და შოთის რომ არ იცნობდნენ. გადაცემა მხიარულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. ვთხოვეთ რაიმე სასაცილო გაეხსენებინა:

- შოთი - ვეუბნებით - რას გაიხსენებთ ტყუპებთან დაკავშირებით? და იმანაც დაიწყო: „მე მაშინ თურქეთში ვთამაშობდი, ჩემი ტყუპისცალი ძმა - ჰოლანდიაში“.

- რა საინტერესოა, შოთი, მერე?

- ერთ დღეს პარალელურად მე თურქეთში მქონდა მატჩი, ჩემს ძმას ჰოლანდიაში. მატჩი აქაც (თურქეთში) და იქაც (ჰოლანდიაში) ერთსა და იმავე დროს დამთავრდაო.

- მერე, მერე შოთი? - უფრო დავინტერესდით.

- მეო - განაგრძობს, ერთი ბურთი გავიტანე და კისერი გამიშეშდა, ვურეკავ ჩემს ძმას ჰოლანდიაში - ერთი გოლი შევაგდე-მეთქი, მეც ერთი გოლი შევაგდეო. თურმე ერთსა და იმავე დროს გაგვიტანია ორივეს...

- მერე?

- კისერი გამიშეშდა-მეთქი ისე ვუთხარი... ვაიმე, მეც გამიშეშდა კისერიო...

ალტაცება და სიცილი ერთმანეთში აირია სტუდიაში.

- დიდი მადლობა მოსვლისთვის, ბატონო შოთი - ვემშვიდობებით ვითომ და:

- რა შოთი, შოთი აგიტყდათ - გაბრაზდა ტყუპისცალი, მე - აჩი ვარო...

### ჯენტლმენი

ეს ამბავი ქართველების რაინდობას უსვამს ხაზს, რაც ვფიქრობ, უფრო სიამაყით აავსებს მკითხველს, ვიდრე ჯანსაღი იუმორით.

ვილნიუსში ვარ. რა თქმა უნდა - სპარტაკიაზე. იქ ერთი კოლეგა მეგობარი ქალი მყავდა სახელად - რიგინა. ლამაზი ქალი გახლდათ და თაყვანისმცემლები არ აკლდა. ერთხელ მე და რიგინა კაფეში ვსხედვართ და ყავას შევექცევით. რიგინა მუდამდღე მიჩიჩინებდა - „ვგიჟდები ქართველ მამაკაცებზეო“. გულში კი, რა თქმა უნდა, მეამაყებოდა, მაგრამ მაინც (ასეთები ვართ ჩვენ) ვეუბნებოდი - „კაი ერთი, რა განსაკუთრებულები ჩვენ ბიჭები არიან-მეთქი“. „ეჰე, შენ რა იცი“...

ჰოო და, ვსვამთ ყავს. მოულოდნელად რიგინას ძალიან მაგარი რუსი თაყვანისცემელი („პაკლონნიკი“), ჩვენი კოლეგა ჟურნალისტი შემოვიდა და ჩვენს მაგიდაზე შამპანურით სავსე ორი ფუჟერი მოიტანა თავისი ხელით. დაგვიდგა... მე მეჩქარებაო - მოიბოდიშა და ისევე გაქრა, როგორც გამოჩნდა. გაოცებულები ვუყურებთ ერთმანეთს.. ამ ამბავში ვართ და კაფეში ჩვენი მძლეოსნობის მწვრთნელი ილია გიგაური შემოვიდა. ჩვენს დანახვაზე ძალიან გაიხარა. ორთავეს ხელზე გვეამბორა. მერე ბარმენთან მივიდა, რაღაც ჩასჩურჩულა და წამსვე მოვარდა ოფიციანტი. ჩაციებული შამპანურის ბოთლი ჩვენ თვალწინ ზათქით და ზეიმით გახსნა, ახალი ფუჟერები შეგვივსო და მაგიდა ნუგბარი ტკბილეულით აივსო. ილიამ მოკლედ გვადღეგრძელა, ბოდიში მოიხადა და დელიკატურად დაგვემშვიდობა.

- აი - ნიშნის მოგებით გადმომხედა რიგინამ - რატომ ვგიჟდები ქართველ მამაკაცებზე.

კაფედან უუუსაზღვროდ ამაყი გამოვედი, თუმცა მაინც არ შევიმჩნიე: „ეგ რაა, შენ ჩვენთან ჩამოდი და ეს ამბავი კინოს წინ ჟურნალად მოგეჩვენება-მეთქი“.

### თაიგული სატრფოსათვის

უკრაინაში ასპარეზობდნენ ჩვენი ძიუდოისტები (მკითხველი ნუ მიწყენს, თარიღები ზუსტად აღარ მახსოვს). მოვიდა ჩემთან ჩვენი ორი მოჭიდავე და საიდუმლო გამანდო:

- თამილა, გვირჩიე, რა ვქნათ.

- რაშია საქმე? - დავინტერესდი მე - „გაჭირვების ტალკვესი“.

- ორი თვალისმომჭრელი უკრაინელი გოგო გავიცანით. ისეთები არიან, ისეთები როო...

- მერე მე რა ვქნა?

- არა... უბრალოდ, გვასწავლე რა მოვიმოქმედოთ... სახლში დაგვპატიჟეს და ხომ იცი, რომ „პაეზდკაში“ რაღაც ხურდა ფულს გვატანენ. ხელცარიელი როგორ მივიდეთ, რაიმე ხერხი მოიფიქრე ამ უხერხულობიდან რომ გამოვიდეთო.

დავძაბე გონება და ბოლოს ისეთი რამ მოვიფიქრე, მაშინ როგორ გავამხელდი, თუმცა ახლა უკვე შეიძლება ვთქვა. მოკლედ, შორიდან მოწმე ვარ ამ ამბის, რასაც გიამბობთ:

ქალაქის ცენტრში (უკრაინის მეორე თუ მესამეხარისხოვანი ქალაქია) პატარა ხის ფიცრული ღობით შემოსაზღვრული, პროლეტარიატის დიდი ბელადის ძეგლი დგას. ღობის იქით ზედ ძეგლის ქვეშ 10-15 ცოცხალი ყვავილების თაიგული აწყვია (ყოველ დილით ცვლიდნენ იმ თაიგულებს). მიხვდით ალბათ... მე მანქანაში დავრჩი. ბიჭები „სანადიროდ“ გადავიდნენ. მიუახლოვდნენ ღობეს, მიიხედ-მოიხედეს და ნახტომისთვის ემზადებიან, რომ ორი გვარიანად მკაცრად ჩაცმული მამაკაცი დაინახეს შორიახლოს.

- გადაცმულები არიან - დავიწვებით - უჩურჩულა ერთმა მეორეს, მაგრამ ახლა უცებ გაქცევაც არ შეიძლება. ცოტა მოვიცადოთ და მერე ნელა წავიდეთ.

- რებიატა, ვი ბირიონწე, ილი ნეტ? - თაიგულზე.

ამათ დასცეცხლათ - გამოგვიჭირეს გადაცმულებმაო.

- ნიეტ! ნიეტ! და ვი ჩტო! ნიეტ!

- ტაგდა პრაპუსწინე, მი ვ ოჩერედ სტაიმო - გადახტნენ, ამოიღლიავეს თითო თაიგული და მოუსვეს.

დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. ძია ლენინმა ჩვენს ბიჭებსაც მშვენიერი თაიგულები გაატანა გოგოებთან. ამბობენ, ლენინიც ჯენტლმენი იყოო... ალბათ?!

### გააჩერე... გააჩერე... დამრჩა!

ლევან თედიაშვილს ვუთხარი, ცოტათი მძიმე ბარგი მაქვს და აეროპორტამდე მიმატანინე როგორმე-თქო (კიევიდან თბილისში მოვფრინავდით).

ლევანი რის ლევანია, სასწრაფოდ მოაყენა ტაქსი სასტუმროს და ჰერი აეროპორტისკენ. მძღოლი ენაწყლიანი გამოდგა. ლევანის დიდი თაყვანისცემელი და გაბმულად ელაპარაკება, რა თქმა უნდა, სპორტზე და ძირითადად - ჭიდაობაზე.

მე უკან ვზივარ არხეინად. რამდენიმე საათიც და ჩემს საყვარელ ქალაქში ვიქნები. ესენი კი ლაპარაკობეეეეენ!

ვაიმე! - აღმომხდა მოულოდნელად.

- რა მოხდა? - მომიბრუნდა ლევანი.

- რა და... ნომერში... ტუმბოჩკაში არაყი დამრჩა ჩაციებული.

ამის გაგონებაზე მძღოლი სულ „შნუროკად“ იქცა.

- მოვბრუნდე?

- არა, კაცო - გვაგვიანდება - ლევანმა - თვითმფრინავი გაგვასწრებს - არყის მეტი რაა საქართველოში.

აეროპორტში რომ მივედით, მძღოლმა ხელები დაიკაპიწა. სულ - თავისით სათითაოდ - ამოალაგა ჩვენი ჩანთები. მერე ლევანი გვერდზე გაიყვანა და - „ბრატ, დარაგოი, სკაჟი ვ კაკომ ნომერე ასტალსია ვოდკა?!“

მე კი ვასწავლე, მაგრამ მერე რა მოხდა, ველარ გეტყვით.

**მურმან მერკვილიშვილი**

---

● ჭადრაკი

# დღეს მეორე რაუნდი იწყება

ხანტი-მანსიისკში, როგორც გაუწყეთ, 28 აგვისტოს დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელშიც პლანეტის 128 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება. მას შემდეგ, რაც სტარტზე ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშნენ სომეხი ვლადიმერ აკოფიანი და ჩინელი ვან ჰაო, პირველი პარტიის მერე მათი ბედი გაიზიარა ეგვიპტელმა დიდოსტატმა ახმედ ალიმ,რომელიც სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში და აფრიკის ჩემპიონს ექიმებმა მარცხენა თირკმლიდან კენჭი გამოუღევნეს.

ტურნირის ზემოთ ნახსენებ სამ მონაწილესთან ერთად პირველმა რაუნდმა ასპარეზობას სხვადასხვა ქვეყნის კიდევ 61 წარმომადგენელი ჩამოაცილა. ერთ-ერთი გახლავთ აზერბაიჯანელი **ნამიგ გულიევი**, რომელიც გალელ **ბაადურ ჯობავასთან** 0:2 დამარცხდა. მე-2 ეტაპის პირველ ტურში ჯობავა სომეხ არმან პაშიკიანის მძლეველ პოლონელს - **რადოსლავ ვოიტაშეკს** დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მე-3 რაუნდში დმიტრი იაკოვენკოსა (რუსეთი) და ჰარიკრიშნას (ინდოეთი) შორის უძლიერესს შეხვდება.

დღევანდელი პაექრობებიდან ინტერესს იწვევს სერგეი კარიაკინისა (რუსეთი) და უესლი სოუს (ფილიპინები), ევგენი ალექსეევისა (რუსეთი) და ვასილი ივანჩუკის (უკრაინა), შაჰრიარ მამედიაროვისა (აზერბაიჯანი) და დანიელ ფრიდმანის (გერმანია), ნი ჰუასა (ჩინეთი) და რუსლან პონომარიოვის (უკრაინა), რუსტამ კასიმჯანოვისა (უზბეკეთი) და გატა კამსკის (აშშ) ორთაბრძოლები. აი, სომეხი სერგეი მოვსესიანი კი ქალებს დაერია: პირველ რაუნდში ჩინელი ჰოუ იფანი დაამარცხა, მეორეში კი იუდით პოლგარს (უნგრეთი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**



ბაადურ ჯობავა

● ჩოგბურთი

# შაფათავას წინსვლა და რუმინული გამარჯვება

გუშინ,ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (ვტა-მ დააგვიანა სრული სიის გამოქვეყნება), ვერ შემოგთავაზეთ ქართველ ქალთა ახალი რეიტინგი. მხოლოდ **ანა ტატიშვილის** შესახებ ვთქვით, რომ საქართველოს პირველი ჩოგანი კვლავ 85-ე ჩოგნად დარჩა. ანა წუხელ, გვიან ღამით ამერიკის ღია პირველობაზე მე-17 ნომრად განთესილ **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** (რუსეთი, 16) ითამაშებდა. გაგაცნობთ სხვა ჩვენებურთა დღევანდელ მდგომარეობას: 209 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 275 ქულა; 214 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 273; 278 (+17) **სოფიო შაფათავა** - 202; 433 (-1) **ეკა გორგოძე** - 89; 458 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 78; 470 (-) **თათია მიქაძე** - 75.

შაფათავას 17-ადგილიანი პროგრესი სტამბოლის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლით არის განპირობებული. სხვა მხრივ კი, ახალ რეიტინგში საინტერესო არაფერია. სოფიო ახლა რუმინულ მამაიაში იმყოფება, სადაც 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო. წყვილთა ბადეში მე-3 განთესილმა ქართულ-რუსულმა (**მარინა შამაიკო**) დუეტმა 6:2, 6:3 მოუგო რუმინულს (**დამასკინი, მარკუ**) და მეოთხედფინალში გავიდა. მათი ახალი მეტოქეები რუმინელი **ანდრეი** და ფრანგი **პიკეონი** იქნებიან. ერთეულებში შაფათავა მე-8 ნომრად არის განთესილი და დღეს სლოვაკ **ჟუჟანა ლუკნაროვას** (301) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ხსოვნა



**40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენი სამინისტროს ვეტერან თანამშრომელს, სულიერი და ფიზიკური მშვენიერებით გამორჩეულ ქალბატონს - ჟანა ბრიქუროვას.**

**ნარგიზა მესხის ამ, ქვეყნიდან უდროოდ წასვლის შემდეგ სამინისტროს ერთ-ერთ სოლიდურ სამმართველოში ქართული სპორტის ცოცხალ მემატიანედ ის შემორჩა და ჩვეული გულისხმიერებით გუშაგად ედგა თაობათა შორის მემკვიდრეობითობას. იცოდა მძიმე სენს რომ ატარებდა, იცოდა წუთისოფელი მისთვის სულ უფრო რომ მოკლდებოდა, მაგრამ თავისი ტკივილითა და დარდით სხვას არ აწუხებდა. გაუტეხელი, მხიარული, ხალისიანი, მოსიყვარულე და საქმისადმი ერთგულების ბრწყინვალე მაგალითად დარჩა ბოლომდე.**

მუდამ პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს თანამშრომლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ისტორია

# მსოფლიოს თასი 2007 წელი


საქართველოს ნაკრები

2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც საფრანგეთში გაიმართა, საქართველოს ნაკრებისთვის მეორე იყო. „ბორჯღალოსნებმა“ რაგბის ამ უდიდეს ფორუმზე ჯგუფურ ტურნირში მრისხანე ირლანდიის ნაკრები ლამის დაამარცხეს, რის შემდეგაც ჩვენს ნაკრებს მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებდნენ.

ალსანიშნავია, რომ საფრანგეთში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების წინ IRB-ს გადაწყვეტილი ჰქონდა სამომავლოდ მონაწილეთა რაოდენობა ოციდან თექვსმეტამდე შეემცირებინა. მაგრამ საქართველოსა და ფიჯის ნაკრებების ბრწყინვალე ასპარეზობის შემდეგ, მსოფლიოს რაგბის მამებმა ეს გადაწყვეტილება უმალვე შეცვალეს.

### ტურნირის აღმოჩენა: ფიჯის ნაკრები

ფიჯის ნაკრები 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მშვენება იყო. კუნძულელები მატჩიდან მატჩამდე უმატებდნენ და შესანიშნავ, სანახაობრივად ულამაზეს რაგბის თამაშობდნენ. ჯგუფურ ტურნირში ფიჯელებმა ჯერ იაპონიის ნაკრებს სძლიეს - 35:31, მერე კანადის ეროვნულ გუნდს მოუგეს - 29:16, ავსტრალიასთან კი 12:55 დამარცხდნენ. აპოგეა უელსთან მატჩში დადგა. კარდიფში მილენიუმზე ფიჯის ნაკრებმა მეტოქესთან ერთად ულამაზესი სპექტაკლი დადგა და 38:34 გაიმარჯვა.

ფიჯელთა რიგებში განსაკუთრებული შედეგიანობით გამოირჩეოდა ვილიმონე დელასაუ. მეოთხედფინალში კუნძულელებს აშკარად არ გაუმართლათ. მეტოქედ მსოფლიოს თასის მომავალი გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის ნაკრები ერგოთ, რომელსაც ორი, თითქმის თანაბრად ძლიერი შემადგენლობის გამოყვანა შეეძლო. თუმცა ფიჯელები ბოლომდე დაიხარჯნენ, „ბოკეს“ დამარცხება მაინც ვერ შეძლო - 20:37.

ამ მსოფლიოს თასის კიდევ ერთი სიურპრიზი საქართველოს ნაკრები იყო, რომელმაც ელიტის მუდმივი ბინადარი, ირლანდიის ეროვნული გუნდი შავ დღეში ჩააგდო. მართალია, „სამყურებმა“ ჩვენს „ბორჯღალოსნებს“ ოთხი ქულით მაინც მოუგეს 14:10, მაგრამ, ფეხზე დამდგარმა მაყურებელმა ოვაციები დამარცხებულ საქართველოს ნაკრებს გაუმართა. გამარჯვებული ირლანდიელები კი მოედნიდან თავჩაღუნული გაიძურწნენ.

### ტურნირის იმედგაცრუება: საფრანგეთის ნაკრები

საფრანგეთმა მსოფლიოს თასის გათამაშებას პირველად უმასპინძლა და, შესაბამისად, სპეციალისტებიცა და რაგბის ქომაგებიც თავიანთ გუნდს მინიმუმ ფინალში ხედავდნენ. თუმცა...

მიუხედავად იმისა, რომ „ლე ბლემ“ მეოთხედფინალში გმირულად იბრძოლა და გათამაშებას მთავარი ფავორიტი ახალი ზელანდიის ნაკრები გამოთიშა - 20:18, ფრანგთა გუნდის გამოსვლა მაინც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

საფრანგეთის ნაკრები ჯგუფურ ტურნირში პირველივე მატჩში დამარცხდა არგენტინის ეროვნულ გუნდთან 12:17. მერე, „ოლ ბლექსის“ ძლევის შემდეგ, ნახევარფინალში ინგლისის ნაკრებთან წააგო - 9:14 და ბოლოს, მესამე ადგილისთვის მატჩში ისევ „პუმებთან“ ვერას გახდა - 10:34.

ფრანგთა უდიდესი მწუხარების მიუხედავად, „ლე ბლე“ მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

### ტურნირის გუნდი: არგენტინის ნაკრები

არგენტინის ნაკრები მსოფლიოს თასის ამ გათამაშებაში შეუდარებელი იყო. „პუმებმა“ შესანიშნავად შეძლეს თავიანთი ძლიერი მხარეების წარმოჩენა. მძიმე და საკმაოდ მობილური შერკინება მეტოქეს მუდმივად ავიწროებდა და ფეხმარდ უკანახაზელებს სათამაშო არეს უფართოებდა.

„პუმების“ ალმასვლა ჯგუფურ ეტაპზე საფრანგეთის ნაკრების ძლევით დაიწყო. არგენტინელებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეოხედფინალში შოტლანდიის ნაკრებს გადაეყარნენ. სამხრეთამერიკელებმა „სკოტების“ დამარცხებაც შეძლეს 19:13 და პირველად თავის ისტორიაში ნახევარფინალში გააღწიეს.

აქ არგენტინას მომავალი ჩემპიონი სამხრეთ აფრიკის ნაკრები დაუპირისპირდა. „ბოკეს“ უპირატესობა აშკარა იყო - 37:13. „პუმებმა“ ბოლოს კარი მაინც გაიჯახუნეს, მესამე ადგილისთვის მატჩში მასპინძლები დაამარცხეს - 34:10.

**პიშო, ერნადესი, ლედესმა, რონსერო, კორლეტო** და ძმანი მისნი სამუდამოდ შევიდნენ მსოფლიოს რაგბის ისტორიაში.

### ტურნირის მატჩი: საფრანგეთი-ახალი ზელანდია

„ოლ ბლექსი“ ისევ დამარცხებულია. ახალზელანდიელებისთვის, რომლებიც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მსოფლიო რეიტინგის პირველი საფეხურიდან არ ჩამოდიან, საფრანგეთის ნაკრები კერკეტ კაკლად იქცა. ამაზე უფრო უხერხული და „საზიზღარი“ მეტოქე „კივებს“ სხვა არავინ ჰყავთ.

უცნაურია, მაგრამ იმავე წელიწადს, ივნისის ტესტებისას ახალი ზელანდიის ნაკრებმა „ლე ბლე“ 61:გაანადგურა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობდნენ, ფრანგებისგან ასეთ გმირობას არავინ ელოდა.. მით უფრო, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ახალი ზელანდია 10 ქულის სხვაობით იგებდა - 13:3.

მაგრამ, ფრანგთა ნაკრები დღემდე ამოუცნობ გუნდად რჩება. მათ **ტიერი დუსოტუარის** ლელოსა და მგეზავი **კიონელ ბოქსის** ფეხჩუბინობის წყალობით, მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება - 13:13.

მიუხედავად ამისა, **როდნი სოოიალომ** მაინც შეძლო ლელოთი „ოლ ბელქსის“ დაწინაურება, თუმცა **ლუკ მაკალისტერს** გარდასახვა გაუცუდდა - 18:13. თამაშის დასრულებამდე 11 წუთით ადრე მოედანზე სათადარიგო მგეზავი **ფრედერიკ მიშალაკი** გამოჩნდა, ბურთთან მისი პირველივე შეხება შედეგიანი გამოდგა, მეტოქის ხაზი გაჭრა და ჩათვლის მოედნიდან ხუთიოდ მეტრში მისულმა ბურთი **იანიკ ჟოზიონს** გაატანა. ლელო ცხრა ნომერმა **ჟან-ბატისტ ელისალდმა** გარდასახა და „ლე ბლემ“ ახალი ზელანდიის თითქმის უძლეველი გუნდი მსოფლიოს თასის მიღმა მეორედ დატოვა - 20:18.

### ტურნირის ლელო: იანიკ ჟოზიონი

ამ ლელოს შესახებ უკვე გიამბეთ. თუმცა სალელოვე შეტევის წამომწყებებზე არაფერი გვითქვამს. მოედნის ცენტრში **ჟან-ბატისტ ელისალდამ** ბურთი რაკიდან გამოიტანა და უკანახაზელ **დამიენ ტრაის** გადააწოდა, რომელიც მეტოქის რამდენიმე მორაგბეს გაუმკლავდა და მარცხნივ მოკლე ფრთაზე შეტევაში ფრედერიკ მიშალაკი ჩართო. დანარჩენი უკვე ვთქვით, ამ ლელომ გათამაშებას მთავარი ფავორიტი გამოთიშა, „ლე ბლე“ კი ნახევარფინალში გაიყვანა.


საქართველო-ირლანდია. გოდერძი შველიძე და გიორგი შკინინი

მეტოქეები


გია ლაბაძე და კატალინ ფერკუ

# სტეუარის კატალინ ფერკუ დააკლდა

**მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რუმინეთის ეროვნული გუნდი გუშინ ბუქარესტიდან ახალ ზელანდიაში გაემგზავრა. „სტეუარიმ“ გეზი მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე საასპარეზოდ კაცნაკლულმა აიღო. ახალ ზელანდიაში გამგზავრებაზე ბოლო მომენტში უარი განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, გარემარბმა კატალინ ფერკუმ.**

რუმინეთის რაგბის ფედერაციას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. რუმინული სარაგბო საიტები კი მიზეზად ფერკუს თვითმფრინავით ფრენისადმი შიშს ასახელებენ.

არადა უცნაურია, ბოლოდროინდელი რუმინული რაგბის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, კატალინ ფერკუ გუნდთან ერთად წლეულს მსოფლიოს თასის რეპეშაჟში საასპარეზოდ ურუგვაიში იმყოფებოდა. მანძილი ბუქარესტიდან მონტევიდეომდე ასევე საკმაოდ შორია, თუმცა ამას ფერკუსთვის პრობლემა არ შეუქმნია.

რუმინული მედიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საქმე სხვაგვარად უნდა იყოს, თუმცა ბევრი რამ ძალიან საოცარია. ფერკუმ მთელი მოსამზადებელი პერიოდი გუნდთან ერთად გაატარა, გასულ უქმეებზე საფრანგეთში გამართულ საწვრთნელ მატჩში „პერიგოსთან“ ითამაშა და ერთადერთი ლელოც მან გაიტანა. ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიოს თასზე თამაშზე უარი განაცხადა „სტეუარის“ ახალ ზელანდიაში გამგზავრების წინ.

სავარაუდოდ, რუმინეთის რაგბის ფედერაცია ფერკუს დისკვალიფიკაციას მიუსჯის. მის ნაცვლად კი ახალ ზელანდიაში კონსტანცას „ფარულის“ გარემარბი **ადრიან აპოსტოლი** გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრები პირველ შეხვედრას 10 სექტემბერს შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „სტეუარი“ „ბორჯღალოსნებს“ 28 სექტემბერს პალმერსტონში დაუპირისპირდება.

#### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: **ნიკოლაე ნერე, მიჰაიტა ლაზარი, სილვიუ ფლორეა, დრაგომ დიმა, პაულიკა იონი, მარიუს ტინკუ, ბოგდან ზებეგა, ანდრე რადოი, ვალენტინ ურსაკე, კრისტიან პეტრე, ვალენტინ პოპირლანი, კოსმინ რატიუ, ოვიდიუ ტონიცა, მიჰაი მაკოვეი, დანიელ კარპო, დანიელ იანუსი, სტელიან ბურეა.**

უკანა ხაზი: **ლუჩან სირბუ, ვალენტინ კალაფეტეანუ, დანიც დუმბრავა, იონუც დიმოფტე, ჩაბა გალი, კონსტანტინ გეარა, იონელ კაზანი, კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ, სტეფან ჩუნტუ, ფლორინ ვლაიკუ, იულიან დუმიტრაში, კატალინ ნიკოლაე.**

მსოფლიოს თასი

# ოლ ბლექსი რიდისა და თომსონის გარეშე

**მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ათი დღე დარჩა. გახსნით მატჩში, 9 სექტემბერს ახალი ზელანდიის ნაკრები ტონგას ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.**

უკვე ცნობილია, რომ მასპინძლებს ორი წამყვანი მოთამაშე, **კირან რიდი** და **ადამ თომსონი** დააკლდებიან. ორივე მათგანი, გასულ უქმეებზე, სამი ერის გათამაშების ბოლო მატჩში ავსტრალიის ნაკრებთან თამაშში დაშავდა.

*„კირან რიდს საკმაოდ სერიოზული ტრავმა აქვს. მან ტერფი დაიზიანა და მალე გამოჯანმრთელებას ვერ მოახერხებს. იმედი გვაქვს, რომ რიდი ჯგუფური ტურნირის ბოლოსკენ ჩადგება მწყობრში და პლეი ოფის მატჩებში ითამაშებს.*

*რაც შეეხება თომსონს, მისი საქმე ოდნავ უკეთაა. ადამს სხეულზე რამდენიმე ადგილას სისხლჩაქცევა აქვს და მხარიც სტკივა. ზუსტად ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეძლებს თამაშს, თუმცა, ვფიქრობთ, ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში იაპონიასთან იასპარეზებს“* - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების ექიმმა **დებ რობინსონმა**.

#### ახალი ზელანდია

შერკინება: **კორი ფლინი, ენდრიუ ჰორი, კევინ მეალამუ, ჯონ აფოა, ბენ ფრენქსი, ოუენ ფრენქსი. ტონი ვუდკოქი, ენტონი ბორიჩი, ბრედ თორნი, სამუელ ვაითლოქი, ალი ვილიამსი, ჟერომ კაინო, რიჩი მაკქოუ, კირან რიდი, ადამ თომსონი, ვიქტორ ვიტო.**

უკანა ხაზი: **ჯიმი ქოუანი, ენდი ელისი, პირი ვიპუ, დენ კარტერი, კოლინ სლედი, რიჩარდ კაჰუი, მაა ნონუ, კონრად სმითი, სონი ბილ ვილიამსი, იზრაელ დაგი, ზაკ გილფორდი, კორი ჯეინი, მალილი მულიაინა, ისაია ტოეავა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე

# კვიტოვამ წააგო, შარაპოვამ კინაღამ


პეტრა კვიტოვა

მამაკაცთა ტურნირისგან განსხვავებით, ქალებს შორის პირველივე დღეს სენსაცია მოხდა - საწყის წრეში დამარცხდა უიმბლდონის ჩემპიონი **პეტრა კვიტოვა**, რომელიც ჯერჯერობით ვერ შეეგუა ვარსკვლავის სტატუსს და ბოლო დროს ძალიან სუსტად თამაშობს.

არადა, ჩეხს რთული მეტოქე არ ჰყოლია - რუმინელმა **ალექსანდრა დულგერუმ** ორივე მუხლის ტრავმის გამო რამდენიმე ტურნირი გამოტოვა და ფორმიდან იყო ამოვარდნილი. მატჩი კვიტოვას ბრეიკით დაიწყო, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ უიმბლდონის ჩემპიონს სულაც არ ჰქონდა თამაში დიდი უპირატესობა. რუმინელმა სიტუაცია გაათანაბრა, რაც, ძირითადად, კვიტოვას შეცდომების დამსახურება იყო. ორივე სეტის ბოლოს სწორედ ამ უზუსტობებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი - ჩეხმა ჯამში 52 უნებლიე შეცდომა დააგროვა და ორ სეტში დამარცხდა - 6:7(3), 3:6. დულგერუმ კარიერაში მესამედ მოუგო ტოპ-ათეულის წევრს. მანამდე ის რუსებს ამარცხებდა - შარშან გრუნტზე სძლია **დინარა საფინასა** და **ელენა დემენტიევას**.

კინაღამ კვიტოვას ბედი გაიზიარა **მარია შარაპოვამ**. რუსი ახალგაზრდა ბრიტანელ **ჰიზერ უოტსონს** ხვდებოდა, რომელიც ორი წლის წინ ამერიკის ღიას ჩემპიონი იყო იუნიორებს შორის. ყველასთვის მოულოდნელად უოტსონმა ბრეიკით დაწინაურება მოახერხა. შარაპოვას, როგორც ხშირად სჩვევია, მოწოდებაზე თამაში არ წაუვიდა, თან ამას მიღებაზე ცუდი თამაშიც დაემატა, ბრიტანელი კი მისი ასაკისთვის არადამახასიათებელ მშვიდ თამაშს აჩვენებდა და პირველი სეტიც დამსახურებულად მოიგო.

მხოლოდ ამის შემდეგ დაალაგა თამაში შარაპოვამ, უფრო აგრესიული გახდა, თუმცა ჩავარდნები მაინც ჰქონდა, ამიტომაც მეორე სეტში მხოლოდ ბოლოსკენ გატეხა უოტსონის წინააღმდეგობა, მესამეში კი მარია კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, თუმცა ჰიზერს დანებება არ უფიქრია და ერთხელ დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ ეს მისი ბოლო წარმატება იყო მატჩში - 6:3, 5:7, 3:6.

შარაპოვამ მეტოქეზე 28-ით მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა (58-30), სამაგიეროდ, თითქმის ხუთჯერ მეტი „ვინერსი" ჰქონდა (41-9). მარიამ „დიდი სლემის" ტურნირებზე პირველი წრის ბოლო 32 შეხვედრაში 31-ედ მოიგო. გარდა ამისა, ბრიტანელი მეტოქეების წინააღმდეგ მას ხუთი მოგება და ნული წაგება აქვს.

პირველი დღის მატჩებიდან უნდა აღვნიშნოთ **ვენუს უილიამსის** დაბრუნება. ამერიკელისთვის რუს **ვესნა დოლონცთან** მატჩი პირველი იყო უიმბლდონის შემდეგ. მიუხედავად ამისა, უფროსმა უილიამსმა საკმაოდ დამაჯერებელი თამაში აჩვენა და 78 წუთში გაუსწორდა მეტოქეს - 6:4, 6:3. რაც მთავარია, მწყობრშია ვენუსის მთავარი იარაღი - მოწოდება. ერთხელ მის მიერ დარტყმული ბურთის სიჩქარემ საათში 203 კილომეტრს მიაღწია.

### I წრე

**ალექსანდრა დულგერუ (რუმ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5) 7:6(3), 6:3; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-პატრისია მეირ-ახლაიტნერი (ავსტრია) 6:3, 6:3; **მედისონ კეისი (აშშ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 27)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 2:6, 6:3, 6:2; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 7:6(1), 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:2, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ, 13)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:3, 6:4; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:2, 6:3; **ლაურა პოუს ტიო (ესპ)**-მისაკი დოი (იაპ) 6:2, 6:7(12), 5:2 დოის უარი; **ჯულია გორჯესი (გერ, 9)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:3, 6:2; **რომინა ოპრანდი (რუმ)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:0, 7:6(7); **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-ნოპავან ლერტჩეევაკარნი (ტაილ) 6:0, 4:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 3:6, 7:5, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-ალექსანდრა პანოვა (რუს) 7:5, 6:3; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:3, 6:7(5), 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:3, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 4:6, 6:1, 7:6(3); **ნადია პეტროვა (რუს, 24)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:3, 1:6, 6:4; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:1, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 14)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 6:3, 6:4; **ირინა ფალკონი (აშშ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 3:6, 6:4, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-ვესნა დოლონცი (რუს) 6:4, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 30)**-კარინ კნაპი (იტა) 6:7(4), 6:4, 6:3; **ლაურა რობსონი (ბრიტ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 7:6(5), 1:0 მორიტას უარი; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:3, 6:0; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 6:3, 6:0.

# როჯერი აგასის გაუთანაბრდა

ამერიკის ღია პირველობის მამაკაცთა ტურნირი ლოგიკურად დაიწყო - არ ყოფილა არც ერთი სენსაცია. პირველი დღის შემდეგ მხოლოდ ერთი განთესილი გამოეთიშა ბრძოლას - ეს გახლავთ მე-15 ნომერი, სერბი **ვიქტორ ტროიცკი**, ვინც კოლუმბიელ **ალეხანდრო ფალასთან** დამარცხდა. ეს ჩოგბურთელი შარშანდელი უიმბლდონიდან გვახსოვს, როცა პირველ წრეში **როჯერ ფედერერს** საწყისი ორი სეტი მოუგო და მეოთხეში მატჩზე აწვდიდა. მაშინ შვეიცარიელმა ძალების არანორმალური დაძაბვით შეძლო თამაშის მეხუთე სეტში გადაყვანა და შემდეგ შანსი არ დაუტოვა სამხრეთამერიკელს.

ამჯერად თავად ფალა იყო მდევრის როლში, სეტებს შორის აგებდა 0:1-ს, 1:2-ს... მეოთხე სეტში ტროიცკი 4:2 დაწინაურდა და მეათე გეიმში სამი მატჩბოლიც ჰქონდა, მაგრამ ბოლო ორი პარტია ფალამ ერთნაირი ანგარიშით - 7:5 მოიგო და სამ საათსა და 40 წუთში გაიმარჯვა. ალეხანდროს წელს პროფესიულ ტურში მხოლოდ ცხრა მატჩი აქვს მოგებული და აქედან ნახევარი „დიდი სლემის" ტურნირებზე მოდის. როლან გაროსზე მან მერვედფინალამდე გააღწია და იქ არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელასთან** წააგო. მეორე წრეში ფალა მსოფლიოს ყოფილ მეორე ნომერს, გერმანელ **ტომი ჰაასს** შეხვდება.

როჯერ ფედერერს მეორე კოლუმბიელთან - სანტიაგო ხირალდოსთან ჰქონდა შეხვედრა. ამერიკის ლიაზე ხუთგზის ჩემპიონს თითქმის არ ჰქონია პრობლემა და სამ სეტში გაუსწორდა მეტოქეს - 6:4, 6:3, 6:2. პირველ სეტში 5:1 დაწინაურების შემდეგ, კოლუმბიელმა ორი ბრეიკი გააკეთა და გაიბრძოლა, მაგრამ იქვე საკუთარი გეიმი და პარტია წააგო. ეს იყო ერთადერთი რთული მომენტი როჯერისთვის. საათსა და 46 წუთში ფედერერმა 35 უნებლიე შეცდომა დაუშვა და 36 „ვინერსი" მიითვალა.

შვეიცარიელს „დიდი სლემის" ტურნირებზე 224 გამარჯვება დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით **ანდრე აგასის** გაუთანაბრდა. ეს მეორე შედეგია „ღია ერაში". როჯერზე წინ მხოლოდ ლეგენდარული **ჯიმი კონორსია** (232), რომლის რეკორდი, სავარაუდოდ, გაისად დაემხობა.

ფედერერი მეორე წრეში ისრაელელ **დუდი სელას** შეხვდება, რომელმაც 0:2-დან მოუგო ბრაზილიელ **ტომაშ ბელუჩის** - 4:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:0.

საინტერესო უნდა ყოფილიყო მატჩი **გაელ მონფილსა** და იუნიორთა შორის უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ **გრიგორ დიმიტროვს** შორის. მართალია, ფრანგმა სამ სეტში მოიგო, მაგრამ ბულგარელმა 2 საათი და 39 წუთი შეაყოვნა კორტზე მეშვიდე ნომერი - 7:6(4), 6:3, 6:4. 24 წლის მონფილსი კარგად გამოიყურებოდა ამერიკული სერიის ტურნირებზე - გავიდა ვაშინგტონის ფინალში და მეოთხედფინალში ითამაშა მონრეალისა და ცინცინატის მასტერსებზე (ორივეჯერ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** დამარცხდა). მონფილსი შემდეგ წრეში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ესპანელ **ხუან კარლოს ფერეროს** შეხვდება, რომელმაც ხუთსეტიან თრილერში თანამემამულე **პაბლო ანდუხარი** დაამარცხა.

ძალიან იოლად გაიმარჯვა ამერიკელთა მთავარმა იმედმა **მარდი ფიშმა**, ვინც ამერიკული ტურნირების სერიის გამარჯვებული გახდა. გერმანელმა **ტობიას კამკემ** ამერიკელთა პირველ ნომერს მხოლოდ ხუთი გეიმი აართვა. ფიშმა რვიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი აილო, საკუთარ პირველ მოწოდებაზე კი მხოლოდ ექვსი ქულა წააგო. წესით, მარდის მეორე წრეშიც არ უნდა ჰქონდეს პრობლემა, რადგან მეტოქედ ყველასთვის უცნობი **მალეკ ჟაზირი** ჰყავს, რომელმაც ჰოლანდიელი **ტიემო დე ბაკერი** დაამარცხა და პირველი ტუნისელი გახდა, ვინც „დიდი სლემის" ტურნირზე მატჩი მოიგო.

23 ეისი ჩააწოდა ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** ერთ დროს ძლიერი **ფერნანდო გონსალესის** წინააღმდეგ, გარდა ამისა, პირველ მოწოდებაზე მხოლოდ რვა ქულა დაუთმო ჩილელს და შესაბამისად, სამ სეტში გაიმარჯვა. ახლა, ივოს მეორე წრეში რთული მატჩი ელის ფრანგ **რიშარ გასკესთან**, რომელმაც ექვსჯერ აილო უკრაინელი **სერგეი სტახოვსკის** მოწოდება - 6:4, 6:4, 6:0.

ასევე სამ სეტში მოიგო მეორე ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა**. მისმა მეტოქემ, ამერიკელმა **რაიან ჰარისონმა** 37 უნებლიე და შვიდი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ჩილიჩმა ამას 39 „ვინერსი" და შვიდი ბრეიკი (ცხრიდან) დაუმატა და მეორე წრეში **ბერნარდ ტომიჩზე** გავიდა. უიმბლდონის სენსაციას, 18 წლის ტომიჩს დებიუტი ჰქონდა ამერიკის ლიაზე, რომელიც იოლი გამარჯვებით აღნიშნა ამერიკელ **მაიკლ იანთან** მატჩში - 6:3, 6:4, 6:4.

